საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 26 ივნისი, 2014 წელი.

№122 (7503)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ლოგიკა

ვაი შენ, ბრიყვულო უმეცრებავ და უმეცრებაზე დამყნილო ქედმაღლობავ!

საით მიდის საქართველო? 4

„ნუ ეხუმრებით ქართულ მინა-წყალს“ 6

სომხეთი, აფხაზეთის გავლით, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე ალაპარაკდა 3



სანამ ევროპა რეაგირების ფორმებს ეძებს... 2

ემზარ კვიციანს მტრები უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე მოყვრები!.. 9

სანდრო ბაზაძემ ხმალში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა 10

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ინფორმაცია

რატიფიცირებას პირველი ლატვიელები გაგვიწევენ

ევროკავშირთან საქართველოს ასოციირების შეთანხმების რატიფიცირებას ლატვიის პარლამენტი 3 ივლისს მოახდენს. ამის შესახებ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა ჟურნალისტებს ლატვიის თავდაცვის მინისტრ რაიმონდ ვეიონისთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, ეს გეგმა უახლოეს დღეებში იქნება საბოლოოდ დასრულებული და შეთანხმებული.

— ხელისუფლება მზად არის, ყველა მასზე ნაკისრი ვალდებულება განახორციელოს და რეფორმები ჩაატაროს ისე, რომ საქართველო უფრო მიზიდველი გახდეს უცხოური ინვესტიციებისთვის, — განაცხადა პეტრიაშვილმა.

პროცედურის მიხედვით, ევროკავშირთან საქართველოს ასოციირების ხელშეკრულების რატიფიცირება ევროკავშირის 28 სახელმწიფომ უნდა მოახდინოს.

საქართველოს ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულებას ხელს ჟოზე მანუელ ბაროზო და ჰერმან ვან რომპეი მოაწერენ

როგორც ჟურნალისტებს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა განუცხადა, ესენი იქნებიან: ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზო და ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპეი.

საქართველოს მხრიდან ასოციირების ხელშეკრულებას ხელს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მოაწერს. ასოციირების ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონია 27 ივნისს, ბრიუსელში, ადგილობრივი დროით, 09:00 საათზე გაიმართება.

არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების ანექსიისკენ ნაბიჯი გადადგას

გაზეთ „რეზონანსის“ მთავარი რედაქტორი ლაშა ტუღუში რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ანექსიას არ გამორიცხავს.

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე ლაშა ტუღუშმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური კუთხით გარკვეული ნაბიჯები იდგმება, მეორე მხრივ მიმდინარეობს ისეთი პროცესები, რომლებიც ძალიან საგულისხმოა და ძალიან სერიოზულ დაფიქრებას ითხოვს.

ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთთან მიერთების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარება იგეგმება.

თანხა, რაც მივლინებებში დაიხარჯა, სწორად დახარჯული თანხაა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს შეფასებით, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მივლინებებში დახარჯული თანხა ერთმნიშვნელოვნად და მრავალჯერადად ამართლებს დანიშნულებას.

როგორც დავით სერგეენკომ ჟურნალისტებს თემის კომენტირებისას განუცხადა, მისი უწყების სამივლინებო თანხები დიდია თუ პატარა, ამაზე დასკვნის გაკეთება მხოლოდ შედარების საშუალებით შეიძლება. თუმცა, დავით სერგეენკოს თქმით, იგი მოერიდება წინა წლების სამივლინებო თანხებზე საუბარს.

— უბრალოდ ჩაგაბარებთ ანგარიშს, რაში დაიხარჯა ეს თანხა. ეს იყო ორი ვიზიტი ჟენევაში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მინისტერიალზე. ასევე ეს იყო ორი შეხვედრა ვაშინგტონში, ჯანმრთელობის საერთაშორისო უსაფრთხოების კონგრესზე. ამ შეხვედრებმა საშუალება მოგვცა, რომ ბევრად დიდი პროექტები წამოგვეწყო საქართველოში. მე ვფიქრობ, ეს თანხა რაც მივლინებებში დაიხარჯა, ერთმნიშვნელოვნად და მრავალჯერადად ამართლებს დანიშნულებას და ეს არის სწორად დახარჯული თანხა, — აღნიშნა დავით სერგეენკომ.

პრემიებზე გიგამ რაღა უნდა ილაპარაკოს?

უშიშროების საბჭოს ყოფილმა მდივანმა გიგა ბოკერიამ 2013 წლის იანვარ-ნოემბერში პრემიის სახით 30 400 ლარი მიიღო, ბოკერიას სამივლინებო სარჯებმა კი 59 456 ლარი შეადგინა.

IDFI-ის ინფორმაციით, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თანამდებობის პირებზე 2013 წელს პრემიის სახით სულ გაცემულია 148 990 ლარი. უშიშროების საბჭოს მოქმედმა მდივანმა ირინე იმერლიშვილმა კი დეკემბრის თვეში პრემიის სახით 3 540 ლარი მიიღო.

ამასთან, აპარატის ბალანსზე ირიცხება 6 ავტომობილი, რომელთა საერთო ნარჩენი ღირებულება შეადგენს 233 408 ლარს. 2013 წელს უშიშროების საბჭოს აპარატის თანამდებობის პირების მიერ ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე დახარჯულია 99 485.25 ლარი.

რუსეთის მოქალაქეთა უმეტესობა პუტინის მომხრეა

რუსეთის გამოკითხული მოსახლეობის 66 % ვლადიმერ პუტინს 2018 წლის შემდეგ პრეზიდენტის თანამდებობაზე კვლავ ინილავდა. საპირისპირო პოზიციას კი, 14 % აფიქსირებს. აღნიშნულ მონაცემებს სააგენტო „ინტერფაქსი“ ფონდ „საზოგადოებრივ აზრზე“ დაყრდნობით ავრცელებს.

კვლევის თანახმად, ყოველ მეხუთე რესპონდენტს, რაც გამოკითხულთა 20 %-ს შეადგენს, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პოზიცია არ გააჩნია.

სოციოლოგების მონაცემებით, 2012 წელს პუტინის გამარჯვებას 2018 წლის არჩევნებში გამოკითხულთა მხოლოდ 29% უჭერდა მხარს, 44% კი, წინააღმდეგი იყო.

◎ რეფერენდუმი

სანამ ევროპა რეაგირების ფორმებს ეძებს...

ცხინვალის ახალი პარლამენტი „რესპუბლიკის“ რუსეთთან მიერთების საკითხის რეფერენდუმზე დაყენებას აპირებს. ე.წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტის ახლად არჩეული სპიკერი ანატოლი თიბილოვი სააგენტო „იტარ-ტასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ „ერთიანი ოსეთის“ წინასაარჩევნო კამპანია მთლიანად რუსეთთან შეერთების ინიციირებაზე იყო აგებული. პარტიამ დე ფაქტო პარლამენტის ე.წ. არჩევნებში ხმათა 46% მიიღო.

„ჩვენ უარს არ ვამბობთ ჩვენს ლოზუნგებზე და ამ საკითხთან დაკავშირებით ორმაგი მიდგომა არ გვექნება. საკითხი რეფერენდუმზე დადგება“, — აღნიშნა ანატოლი თიბილოვმა.

ამასთან საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ორდღიანი სამუშაო ვიზიტით ცხინვალში ჩავიდა რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან ურთიერთოებების საკითხებში ვლადისლავ სურკოვი. სააგენტო „რესის“ ინფორმაციით, სურკოვმა ცხინვალსა და ძაუს დასახლებაში ობიექტების აღდგენითი სამუშაოები დაათვალიერა, მარიონეტული რეჟიმის ლიდერს და დე ფაქტო პარლამენტის დეპუტატებს შეხვდა. ცნობილია, რომ რუსეთი ე.წ. სამხრეთ ოსეთს აღდგენითი სამუშაოებისთვის ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხებს უყოფს.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში პუტინის თანაშემწის ეს მესამე ვიზიტია ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. თავად სურკოვმა „რია ნოვოსტთან“ საუბრისას განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთში სტუმრობისას რესპუბლიკის რუსეთთან მიერთების საკითხზე რეფერენდუმის შესაძლო ჩატარების შესახებ არ უსაუბრია. სურკოვი თიბილოვის ამ იდეას დაუმუშავებელს და რუსეთთან შეუთანხმებელს უწოდებს.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში რუსეთთან მიერთების თაობაზე დაგეგმილი რეფერენდუმი ევროსაბჭოში დებატების საფუძველი გახდა. მოლდოვის დელეგაციის წევრის ვალერიუ გერმანსკის განცხადებით, ევროსაბჭოს დონეზე აუცილებელია, რომ ყურადღება სეპარატიზმის პრობლემებზე გამახვილდეს.

„ამ კვირაში ასოციირების ხელშეკრულება გაფორმდება და ეს უკრაინისთვის, საქართველოსა და მოლდოვასთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რუსეთის მხრიდან კი ასეთი განცხადებები, ჩვენი ქვეყნების ევროინტეგრაციის გზას და ტერიტორიულ მთლიანობას ძირს უთხრის. ევროსაბჭოს დონეზე, ყურადღება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სეპარატიზმის პრობლემებზე უნდა გამახვილდეს. ძალიან სამწუხაროა, რომ რუსეთის ფედერაცია სეპარატიზმს მხარს უჭერს“, — განაცხადა ვალერიუ გერმანსკიმ.

თავის მხრივ უკრაინის დელეგაციის წევრმა ვოლოდომირ არიევმა აღნიშნა, რომ ოკუპირებულ ცხინვალში ქართული და საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით ვერანაირი რეფერენდუმი ვერ ჩატარდება.

„რუსეთი ყველაფერს აკეთებს, რომ ცივ ომში დამარცხებისთვის შური იძიოს. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის დასავლეთისკენ სვლას, პუტინი პირად შეურაცხყოფად აღიქვამს. ვიდრე რუსეთის ხელისუფლებაში ხალხი ორ ვადაზე მეტხანს იქნება, ისინი მეფეებად გადაიქცევიან და ყველანაირ საშუალებას გამოიყენებენ, მეზობელ ქვეყნებში ვითარების დესტაბილიზაციისთვის. ვერანაირი რეფერენ-



დუმი ვერ ჩატარდება ვერც ქართული და ვერც საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით. ვეცდებით, ყველაფერი გავაკეთოთ, რომ რუსეთი და პუტინი საერთაშორისო გაერთიანებამ ტერორიზმისა და სეპარატიზმის ხელშემწყობად გამოაცხადოს“, — განაცხადა ევროსაბჭოში უკრაინის საპარლამენტო დელეგაციის წევრმა არიევმა.

ქართული მხარე თვლის, რომ რეფერენდუმი ოს მოსახლეობას მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელი ამბობს, რომ არავისთვის მოულოდნელი არ იქნება, თუ ხვალ ცხინვალთან დაკავშირებით რუსეთის დუმა მსჯელობას დაიწყებს.

ამასთან, ხიდაშელმა ოპოზიციის წარმომადგენლების განცხადებებსაც უპასუხა, რომლის თანახმად პრემიერ-მინისტრის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა, იმის შესახებ, რომ ასოციირების ხელშეკრულების ხელმოწერის წინ რუსეთისგან რაიმე პროვოკაციას გამორიცხავდა, დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია.

„ამაზე ვეღარ იტყვის მსოფლიო, როგორც ვთქვათ ყირიმის შემთხვევაში ამბობდა, რომ მოუმზადებელი იყვნენ, დღეს მნიშვნელოვანწილად შეიძლება ვთქვათ, რომ ჯერი საერთაშორისო თანამეგობრობაზეა, ჩვენი ლიდერობით, რა თქმა უნდა, რუსეთისთვის ნათელი უნდა გახდეს ერთობლივი პოზიცია ყველასი“, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

საქართველოს საგარეო უწყებაში კი აცხადებენ, რომ ნებისმიერი რეფერენდუმი, თუ არჩევნები, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩატარდება, წარმოადგენს უკანონო აქტს. რეფერენდუმის ჩატარება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, მათ შორის ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და საზღვრების ურღვეობის პრინციპებს. მაია ფანჯიკიძის უწყებაში აცხადებენ, რომ რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში, მას არ ექნება არავითარი იურიდიული ძალა და მას კანონიერად არ სცნობს საერთაშორისო საზოგადოება.

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ამბობს, რომ თიბილოვის იდეაფიქსია, როგორმე მიიერთოს რუსეთმა, მაგრამ რუსეთი ამ ნაბიჯს არ გადადგამს.

„რუსი ექსპერტები იმაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ მოსკოვს ყელში ამოუვიდა სეპარატისტების თვითშემოქმედება, მოსკოვი ამით არაფერს არ იგებს. უნდა მიიერთოს ყირიმი, ახლა ცხინვალი, პუტინს მართლა არ უნდა, რომ ჰიტლერივით შევიდეს ისტორიაში, ეს რუსეთის ინტერესებში არ არის და არც ჯინაზეა გაკეთებული. რეფერენდუმი ლუგანსკშიც და დონეცკშიც ჩატარდა, მაგრამ რა, პუტი წავიდა მიერთებაზე? ჯარის შეყვანაც ვერ გაბედა. ამიტომ, აქ არაფერი არ შეიცვლება.

დღეს რა მდგომარეობაც არის ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით, ეს არის იდეალური ვარიანტი რუსეთისათვის. ვინაიდან, რუსეთი უყურებს თუ დადგა საქართველოსთან ვაჭრობის საკითხი, აფხაზეთს სავაჭროდ არ გაიმეტებს, მაგრამ ცხინვალის რეგიონს ადვილად გაიმეტებს სავაჭროდ, ხურდა ფულად გაიმეტებს, ეს ოსებმაც იციან. ამიტომაც არის, რომ ყოველნაირად ცდილობენ, დაუმტკიცონ პუტინს, რომ თიბილოვი პუტინზე უფრო მეტი პატრიოტია“, — აცხადებს სოსო ცინცაძე.

პოლიტოლოგი გამორიცხავს, რომ რუსეთმა ამ რეფერენდუმის საფუძველზე მიიერთოს ე.წ. სამხრეთ ოსეთი. მისივე შეფასებით, თიბილოვის ეს განცხადება არანაირ კავშირში არაა 27 ივნისთან როდესაც საქართველომ ხელი უნდა მოაწეროს ასოციირების ხელშეკრულებას. ცინცაძის განცხადებით, რუსეთის პასუხი ასოციირების ხელშეკრულებაზე იქნება ეკონომიკური და არა სამხედრო-პოლიტიკური.

„ეს გამორიცხულია. ნუ ვიფიქრებთ იმაზე, რომ რაც არ უნდა გააკეთოს ახლა პუტინმა, ყველაფერი ეს არის პასუხი ასოციირების ხელშეკრულებაზე. ჩვენს ჯინაზე რუსეთი რასაც იზამს, ამას ჩვენ ვნახავთ 2-3 თვის მერე. ძირითადად ეს იქნება ეკონომიკურ ასპექტში.

იცით, რომ ჩამოსული არიან რუსი ექსპერტები, ამოწმებენ ჩვენს ხილს და ბოსტნეულს, აი მათი დასკვნები ვნახოთ, ეს იქნება შემდეგი პასუხი და არა ახლა ოსეთის ან აფხაზეთის მიერთება, ეს გამორიცხულია“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას სოსო ცინცაძე.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძისთვის მიუღებელია ვერსია თითქოს, რუსეთი არაფერ შუაშია. მისი თქმით, იმ ვერსიაზე ფიქრი, რომ თიბილოვმა დამოუკიდებელი განცხადება გააკეთა, განსახილველად არ ღირს. კითხვაზე, ყირიმის ფონზე შედის თუ არა დღეს რუსეთის გეგმაში ოკუპირებულ რეგიონში რეფერენდუმის ჩატარება, პოლიტოლოგი პასუხობს, რომ გაჩნია რა გეგმით მოქმედებს ზოგადად რუსეთი.

„თუ რუსეთი მოქმედებს იმ გეგმით, რომ სანამ გაგვივა, გავიტანოთ ყველა მიმართულებით, მაშინ ის აფხაზეთსა და ოსეთში ეცდება, გაიმეოროს უკრაინული რეფერენდუმის გზა, მაგრამ თუ რუსეთი მოქმედებს ფრთხილად, მაშინ, წესით, მან ჯერ უნდა დაინახოს, რითი დამთავრდება უკრაინული პროცესები, შეირგოს ყირიმი და მერე იფიქროს სხვა ნაბიჯებზე.

ასეთი სიფრთხილე რუსეთს სტილში არ ეტყობა. ამიტომ, მგონია, რომ რუსეთის წარმომადგენლის ეს განცხადება, დიპლომატიური ჟესტია და თუ ამას დავამატებთ იმ პროცესებს რაც აფხაზეთში ხდება, სადაც „ხელისუფლებაში“ მოდის ისეთი ადმინისტრაცია, რომელიც რუსულ დირიჟორობას აჰყვება, მაშინ მგონია, რომ რუსეთი ცდილობს, მაქსიმალური მიიღოს, სანამ ევროპა რეაგირების ფორმებს ეძებს“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძე.

თამთა ქარჩავა

სომხეთი, აფხაზეთის გავლით, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე ალაპარაკდა

სომხური საინფორმაციო პორტალი lragirsam-ის ინფორმაციით, ქართულმა მხარემ სომხეთსა და რუსეთს აფხაზეთის გავლით რკინიგზის აღდგენაზე უარი უთხრა. გამოცემა წერს, რომ სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი თბილისიდან ხელცარიელი დაბრუნდა. ოფიციალურ თბილისი კი ირწმუნება, რომ სერჟ სარგსიანის ვიზიტის ფარგლებში აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის თაობაზე საუბარი არ ყოფილა.

„ზუსტად ერთ კვირაში თბილისი ევროპული საბაჟო სივრცის ნაწილი და ევროატლანტიკური პასუხისმგებლობის ზონა გახდება. დასავლური პოლიტიკა ახლა მიმართულია რუსეთისა და მისი გაერთიანების ბლოკირებისკენ და საქართველოს არ აქვს არანაირი მოტივი, ამ პოლიტიკის წინააღმდეგ წავიდეს და დაეხმაროს რუსეთს, რომ სომხეთსა და ირანს დაუკავშირდეს.

საქმე ეხება არა მხოლოდ სარკინიგზო მიმოსვლას, რომელიც ერთ-ერთ არგუმენტად სახელდება სომხეთის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებისთვის, არამედ იმასაც, რომ სომხეთ-საქართველოს საზღვარი გახდება საზღვარი ევროპულ და ევრაზიულ საბაჟო სივრცეებს შორის. სომხეთის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას საბაჟო გადასახადების გაზრდა მოჰყვება, რასაც ერევანი არ უარყოფს. თუ ამას დაემატა უთანხმოება საქართველოსთან რუსეთიდან სომხეთში ტვირთების დაუბეგრავად გადაადგილებასთან დაკავშირებით, მაშინ საქონლის ღირებულება სომხეთში მკვეთრად გაიზრდება“, — წერს გამოცემა.

გამოცემის ინფორმაციით, სერჟ სარგსიანმა ვერ მოახერხა, დაერწმუნებინა ქართული მხარე ტრანზიტის ბაჟისგან გათავისუფლების შესახებ. როგორც გამოცემა წერს, ამ დრომდე საქართველო ცდილობდა, დიდად არ შეწინააღმდეგებოდა რუსეთს, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ, როცა ის ევროატლანტიკური უსაფრთხოების ზონაში შევა, არაერთი საფრთხე საქართველოსთვის ნიველირებული იქნება. საქართველოს არ დარჩება არანაირი მიზეზი იმისთვის, რომ ხელი არ შეუშალოს რუსულ პროექტებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ვიზიტამდე სერჟ სარგსიანი რუსეთის სარკინიგზო გზების პრეზიდენტ ვლადიმერ იაკუნინს შეხვდა, რომელმაც განაცხადა, რომ ქართულ-აფხაზური დერეფნის გავლით, სომხეთ-რუსეთის დამაკავშირებელი რკინიგზის ამოქმედებაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

როგორც ცნობილია, აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე საუბარი 2004 წელს დაიწყო. შეიქმნა სამუშაო ჯგუფიც, რომელმაც დაათვალიერა, თუ რა მდგომარეობაში იყო აფხაზეთის რკინიგზის ეს მონაკვეთი. ამ ჯგუფმა მაშინ დადო დასკვნა, რომ სოხუმიდან ენგურის ჩათვლით, სარკინიგზო ლიანდაგი საერთოდ არ არსებობდა. როგორც ეკონომიკის ექსპერტი გია ხუხაშვილი ამბობს, ამის შემდეგ ეს საკითხი დღის წესრიგში ოფიციალურად არ დამდგარა. მისივე თქმით, სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენა სომხური მხარის ინტერესშია და ლაპარაკი იწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველოს ოფიციალური პირი ჩადის სომხეთში, ან პირიქით.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა სომეხ კოლეგასთან ტიგრან სარქისიანთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ აფხაზეთ-სომხეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესაძლებლობა ძირითადად რუსეთის პოზიციაზეა დამოკიდებული. როგორც მაშინ ივანიშვილმა აღნიშნა, საქართველოსა და სომხეთს შორის ამ თემაზე უთანხმოება არ არსებობს და სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესაძლებლობა ძირითადად რუსეთის პოზიციაზეა დამოკიდებული.

მაშინ ამ საკითხის კომენტირებისას შერიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ სატრანსპორტო არტერიის გახსნით კმაყოფილი იქნება ყველა და მათ შორის სომხეთიც. თუმცა, ამ განცხადებას უკმაყოფილება მოჰყვა საქართველოს სტრატეგიული მეზობლისგან — აზერბაიჯანელი პოლიტოლოგები არ გამორიცხავდნენ, რომ საქართველოს მისგან იაფი გაზის მოწოდების ტარიფები გაეზარდა.

გია ხუხაშვილი აცხადებს, რომ სარკინიგზო მიმოსვლის საკითხს ყოველთვის აყენებდა სომხური მხარე, რადგან ეს რკინიგზა სომხეთისთვის, რომელიც გეოპოლიტიკურ ჩიხშია მოქცეული, სასიცოცხლო მნიშვნელობის გზაა. მისი თქმით, ამ საკითხს კატეგორიულობით არ აყენებს რუსეთი, რადგან აფხაზეთის გავლით სომხეთის რკინიგზის გახსნით გარაკვეულ რისკებს ხედავს.

„ინტერესი აქვს მხოლოდ სომხეთს. ის, რომ სომხეთი და რუსეთი ერთად არიან ამ საკითხში, ამას ვერ დავეთანხმები, რადგან ეს არის რისკი რუსეთისთვის. ჩვენთვის შეიძლება ამ შემთხვევაში პოზიტიურად იყოს განხილული საკითხი. ნებისმიერი ინტეგრაციული და ეკონომიკური კომუნიკაცია აფხაზეთის დანარჩენ საქართველოსთან არის ძალიან საინტერესო შემდგომი ინტეგრაციისთვის.

ამ რკინიგზის პროექტს გარკვეულწილად ახლავს ეს პოზიტივი საქართველოსთვის და სწორედ ეს პოზიტივი ანერვიულებს რუსეთს. აქედან გამომდინარე, რუსეთს არასოდეს ჰქონია იმის მცდელობა, რომ ეს პროექტი აქტიურ ფაზაში გადაეყვანა“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას გია ხუხაშვილი.

ეკონომიკის ექსპერტი ლევან კალანდაძე for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ საქართველოს ეკონომიკური სარგებელი რკინიგზის გახსნით პრაქტიკულად არ ექნება. მისივე თქმით, ეს არის პირდაპირი დაინტერესება სომხური მხარის. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სომხეთის რკინიგზა რუსეთის რკინიგზის გავლენის ქვეშ არის მოქცეული. შესაბამისად, კალანდაძე თვლის, რომ ეს იქნება პრაქტიკულად ჯაჭვის შეკვრა სომხურ-რუსული სარკინიგზო მაგისტრალისა.

„ეს არ იქნება ქართული სარკინიგზო მაგისტრალი. ამით ეკონომიკურად და მათ შორის პოლიტიკურად ისარგებლებს მხოლოდ სომხური მხარე. სომხეთს პრობლემა აქვს სარკინიგზო გადაზიდვებთან დაკავშირებით რუსეთის მხარესთან და შესაბამისად, ერთადერთი ალტერნატივა და გამოსავალი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენისა, ეს არის სწორედ აფხაზეთზე გამავალი მაგისტრალი.

ეკონომიკურად ამას საქართველოსთვის სარგებელი არ მოაქვს, საქართველომ შეიძლება პოლიტიკურად ისარგებლოს იმ შემთხვევაში, თუ რკინიგზის თემა დადგება სავაჭრო თემად სხვადასხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური საკითხების მსჯელობისას რუსეთის მხარესთან. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ამ ურთიერთობებში დომინანტი პოლიტიური მხარე არ არის, ამ პირობების გატანის ალბათობა არის მინიმალური. ვეჭვობ, რომ აფხაზეთის რკინიგზის აღდგენამ რაიმე სარგებელი, თუნდაც რგძელვადიან პრესპექტივაში მოუტანოს საქართველოს“, — აცხადებს ლევან კალანდაძე.

სომხეთი, რომ ამ პროექტის ერთ-ერთი ლობისტია, ადასტურებს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე, რომლის განცხადებით, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა სომხეთის და რუსეთის საერთო ინტერესებში შედის.

„რუსული და სომხური ინტერესებისთვის ანგარიშის გაწევა შეიძლება საქართველოს მხრიდან, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ცალმხრივი, უნდა იყოს ორმხრივი, საქართველომ უნდა დაინახოს, რომ საქართველოსაც ეწევა ანგარიში და ძირითადად რუსეთისგან უნდა დაინახოს. ჯერჯერობით ასეთი ანგარიშგასაწევი ფაქტორი რუსეთიდან არ არის.

როგორც ჩანს, საქართველომ ამ მიზეზით მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ გადადგას ასეთი მეგობრული ნაბიჯი მანამ, სანამ მეორე მხარე არ დაუმტკიცებს იგივე განწყობას. არანაირი გარანტია არაა, რომ ამ რკინიგზის საშუალებით იარაღი არ მივა სომხეთამდე და არ აღმოჩნდება საფრთხის წინაშე ჩვენი პარტნიორი აზერბაიჯანი.

ეს რომ მარტო ქართულ-რუსული და სომხური ურთიერთობის საკითხი იყოს, მაშინ კიდევ რაღაც დათმობაზე წავიდოდა საქართველო, მაგრამ წინა პლანზე მოდის აზერბაიჯანის თემა. ვიცით, რომ მწვავე რეაქცია ჰქონდა ამ საკითხზე აზერბაიჯანს. აზერბაიჯანმა იმდენ მნიშვნელოვან საკითხში გაუწია ანგარიში საქართველოს, რომ არანაირი უფლება არ აქვს საქართველოს, ანგარიში არ გაუწიოს აზერბაიჯანის ინტერესებს“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძე.

თამთა ქარჩავა

◎ „გიხარიოდენ!“

მენავთობეები საწვავის გაძვირებისთვის ემზადებიან

მსოფლიო სანავთობო ბაზარზე რთული ვითარებაა. ცალკე უკრაინის კრიზისმა და ცალკე ერაყში არსებულმა დაძაბულობამ შავი ოქროს ფასი საერთაშორისო ბაზარზე საკმაოდ ასწია. ასე რომ, საქართველოშიც იგივე ტენდენციას უნდა ველოდოთ.

ივნისიდან მოყოლებული ნავთობის ფასი მსოფლიო ბირჟებზე მუდმივად იზრდება. თვის დასაწყისიდან იგი 5%-ით გაძვირდა და უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაქსიმალური მაჩვენებელია ბოლო 10 თვის განმავლობაში.

თვის დასაწყისიდან დღემდე ლონდონში „ბრენტის“ ნავთობის ფასი გაიზარდა 108,83 დოლარიდან 114,81 დოლარამდე, ხოლო ნიუ-იორკში „ლაითის“ ნავთობის ფასი — 102,47 დოლარიდან 107,26 დოლარამდე 1 ბარელზე.

ნავთობის ფასის ზრდა ძირითადად განპირობებულია ერაყში არსებული კრიზისით, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი მსხვილი ნავთობმომპოვებელი და ექსპორტიორი ქვეყანაა. ყოველდღიურად ერაყიდან ხდება 2,8 მლნ ბარელი ნავთობის ექსპორტი, რაც ნავთობის მსოფლიო მიწოდების 3%-ს შეადგენს.

„სულ უფრო მეტი საშიშროება იქმნება იმისა, რომ საომარი მოქმედებები ერაყში ნავთობმომპოვებელ და საექსპორტო მიმწოდებელ რეგიონებს მოიცავს, რაც თავის მხრივ, ერაყიდან ნავთობის ექსპორტის შემცირების საფრთხეს ქმნის. ამ ეტაპზე სწორედ ერაყში განვითარებული მოვლენები განაპირობებს მსოფლიოში ნავთობის ფასის ზრდის ტენდენციასაც“, —აცხადებენ ნავთობპროდუქტების იმპორტორთა კავშირში.

ნავთობის გაძვირებას ხელი შეუწყო რუსეთ-უკრაინის კრიზისმაც. სწორედ უკრაინის გავლით ხდება რუსული ნავთობისა და გაზის ექსპორტი ევროპაში და აქაც არის საშიშროება იმისა, რომ მიწოდება შეფერხებებით განხორციელდეს.

ნავთობის ფასის ზრდის პარალელურად, გაზრდილია საერთაშორისო ფასები ნავთობპროდუქტებზე „პლატცის“ მიხედვით (სწორედ მისი მეშვეობით ხდება საქართველოში საცალო ფასის ფორმირება). კერძოდ, ბოლო 3 კვირის ბენზინის ფასი გაზრდილია 69,25 დოლარით, ანუ — 7%-ით — 1055,75 დოლარამდე 1 ტონაზე, დიზელი მომატებულია 54,25 დოლარით, ანუ 6%-ით — 943,50 დოლარამდე 1 ტონაზე.

რაც შეეხება სამომავლო პროგნოზს. გაზრდილი საერთაშორისო ფასები და არასტაბილური გეოპოლიტიკური ვითარება რთული რეალობის წინაშე აყენებს მთელ მსოფლიოსაც და საქართველოსაც. უახლოეს პერიოდში თუ ფასები არ დარეგულირდა, ადგილობრივ საცალო ქსელში საწვავზე ფასის ზრდას უნდა ველოდოთ.

„მოგეხსენებათ, ერაყი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ნავთობმომპოვებელი და ექსპორტიორი ქვეყანაა, შესაბამისად, იქ არსებული ვითარება ყოველთვის მოქმედებს ნავთობპროდუქტების მსოფლიო ფასებზე. როგორც კი იქ სიტუაცია იძაბება და კრიზისი იწყება, ნავთობის ფასი მაშინვე მატულობს.

ამავე დროს, მსოფლიოში ტურისტული სეზონი აქტიურდება და ეს ფაქტორი გარკვეულ გავლენას ფასზე ყოველთვის ახდენს. ცვლილებები სეზონურად ისედაც მოსალოდნელიც იყო. მსოფლიოში საწვავის მოხმარება იზრდება და ფასიც მატულობს, რაც გავლენას ჩვენთანაც მოახდენს“, — აცხადებს ნავთობიმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი.

2014 წლის იანვრიდან მოყოლებული საწვავის ფასმა კორექცია სამჯერ განიცადა. წლის დასაწყისში მცირედი გაიაფება მოხდა, თუმცა, შემდგომ პერიოდში მან გეზი გაძვირებისკენ აიღო და ტენდენცია დღემდე გრძელდება. ბოლოს საწვავი, ივნისის დასაწყისში კიდევ 5-7 თეთრით გაძვირდა.

გეძა დანელია

საით მიდის საქართველო?

საძართველოს რუსეთი ხელს ვერ შეუშლის ევროპასთან ასოცირების ხელმოწერაში! — მუქარანარევი ტონით დაახლოებით ასე ბრძანა საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ვილნიუსში, როდესაც ბარონესა ეშტონთან ერთად, ქართული კულტურის „მწვერვალის“ —შალახოს ფონზე ხელი მოაწერა ე.წ. პარაფირებას...

დიახ, მუქარით, რადგანაც მაშინ კიევის მაიდანი „უმაღლესი დემოკრატიის“ გაკვეთილებს აძლევდა მსოფლიოს და დიდი იმედი ჰქონდათ საქართველოს სამთავრობო თუ არასამთავრობო (ასო) ნეოლიბერალ ბუდარა-ბუდარიხებს, რომ...

მაგრამ არავითარი „რომ“ არ მომხდარა — რუსეთს არც „ნატოსი“ შეეშინდა და, მით უმეტეს, არც მაია ფანჯიკიძის და სულ მოკლე ხანში ტყვიის გაუსროლელად მიიერთა „ისკონნო როსიისკი“ ყირიმი და ადრე თუ გვიან, მართალია, ტყვიის გაუსროლელად ვეღარ, მაგრამ იგივე შედეგი დადგება მილიონობით (!!!) ეთნიკური რუსით დასახლებულ სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაშიც!..

ამასობაში კი, რათა საქართველოს ევრომატარებელი ემანდ „გრიშა ბიძიას დეპოში“ არ აღმოჩნდესო, და ვილნიუსში პარაფირების შემდეგ ამოქმედდა სახელმწიფო პროპაგანდა: ჯერ ჩვენი „მეგობარი“ და პედერასტების ევროლობისტი შტეფან ფულე ეახლა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს — ევროპა არ ითხოვს ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებასო და თითქოს შტეფან ფულესთვის მისაღები განცხადებაც გააკეთა ჩვენმა უწმინდესმა, რაც „დღეს სტუმარია ის ჩემი“-ადან გამომდინარე ზრდილობა აღმოაჩნდა მხოლოდ, რადგანაც ილია II ჭეშმარიტი განწყობა მაშინ გამოჩნდა, როდესაც „მაღალი სტუმრის“ წასვლისთანავე ევროპიდან „შემოგვიგდეს“ ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის თემა, რომელიც ეკლესიის და პირადად პატრიარქის წინააღმდეგობის მიუხედავად, სამწუხაროდ, სამარცხვინო ერთობით მიიღო ნაცებ-ქოცების კოჰაბიტაციურმა ამქარმა...

ამის შემდეგ მთელი ძალით ამოქმედდა ტელე-პროპაგანდა: საქართველო მთელი ისტორიის მანძილზე ევროპისკენ ისწრაფვოდა და ასრულდა წინაპართა ოცნება, საქართველო ევროპულ ოჯახში ბრუნდება, ჩვენს კულტურას ევროპული ფესვები აქვს და ამიტომ მისი კულტურის ნაწილია, ქართველები ევროპელები ვართო და ა.შ. სხვა სისულელეები...

ნეტავი როდის, რომელ ეპოქაში ისწრაფვოდა საქართველო ევროპისკენ? იქნებ მითიური აიეტის კოლხეთის ოქროს საწმისის დროს? იქნებ, პირიქით თქმა უფრო უპრიანია? რადგანაც არგონავტები ისწრაფვოდდნენ საქართველოსკენ; მათ მოგვტაცეს ოქროს საწმისიცა და მედეაც, ანუ მედიცინაც...

იქნებ, ანტიკურ ხანაში ვისწრაფვოდით ჯერ ელადისკენ და მოგვიანებით რომის იმპერიისკენ? პირველთან სერიოზული კონტაქტების შესახებ, თუ სტრაბონს არ ჩავთვლით, ბევრი არაფერია ცნობილი, ხოლო რომის იმპერიისგან წინარექრისტიანულ ეპოქაში, როგორც წესი, ან თავს ვიცავდით (მითრიდატე პონტოელი), ან, როგორც ტოლი-ტოლთან ისე ვურთიერთობდით, რისი დასტურიც, თუნდაც, რომში მარსის მოედანზე დადგმული ამხედრებული ფარსმან ქველის ქანდაკება იყო!

თუ კი ვინმესკენ სწრაფვაა, ეს მართლმადიდებელი ქრისტიანული ბიზანტიის იმპერია იყო და სწორედ ერთმორწმუნეობის ბაზისზე ხდებოდა ბიზანტიურ-ქართულ კულტურათა ურთიერთგამდიდრება — იმათმა თუ აია-სოფია ააგეს, ჩვენ — ჯვარი და სვეტიცხოველი. თუმცა, არც ომები დაგვკლებია ბიზანტიასთან.

ხოლო გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფიდან, ბაგრატ III-დან მოყოლებული დავით აღმაშენებელ-თამარით და გიორგი ბრწყინვალეთი დამთავრებული, სამხედრო-პოლიტიკურად ვინ ვისკენ ისწრაფვოდა, კიდევ საკითხავია...

და საერთოდ, ქართველების რომელ ევროპელობაზე, კულტურის რომელ „ევროპულ ფესვებზეა“ საუბარი, როცა, როდესაც შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანს“ წერდა, დღეს ვისაც, ჟარგონისათვის უკაცრავად და პოლიტიკური „სტოსი მიყავთ“ უდავოდ კულტურულ ევროპაში, იმ ერებმა მაშინ ტანის დაბანაც არ იცოდნენ!

თუ მაინცდამაინც ლიბერასტულად მიუღებელია ქართული კულტურის უპირატესობის ხაზგასმა, ის მაინც ვთქვათ, რომ ქართული კულტურის გარეშე შეუძლებელია ევროპულ, გნებავთ მსოფლიო კულტურაზე საუბარი!..

და ყველაზე მთავარი, ქურდს ქუდი ეწვისო, ნათქვამია და სწორედ აქედან გამომდინარე, მგონია ე.წ. ნაციონალურ არხებზე იმ პროპაგანდისტული ვიდეო-კლიპის განსაკუთრებულად ხშირი ტრიალი, სადაც გვიმტკიცებენ, რომ ევროკავშირი არ ითხოვს საქართველოსგან ერთსქესიანი ქორწინების დაკანონებას...

იქნებ შავით თეთრზე მართლაც არსად სწერია ასეთი ვალდებულების შესახებ, მაგრამ ის კი უდავოა, რომ ევროპა-ამერიკის იმ ქვეყნებშიც, სადაც დაკანონებული ჯერ არ არის ერთსქესიანთა ქორწინებები, ლგბტ-პედერასტების პარპაში გეი-აღლუმებზე სწორედაც რომ ანტიდისკრიმინაციული კანონებით არის გარანტირებული და ერთსქესიანი წყვილების დაკანონება მხოლოდ დროის საქმეა!

წერილზე მუშაობისას შემთხვევით თვალი მოვკარი „ევრონიუსის“ კომენტარის გარეშე სიუჟეტს ბერლინიდან, სადაც კანონით არ არის დაშვებული ასეთი ქორწინებები, მაგრამ გეი-აღლუმზე დაუფარავად „ზასაობდნენ“ პედერასტი წყვილები ვლადიმერ პუტინის, როგორც მსოფლიო ანტი-ლგბტ ლიდერის გადახაზული პორტრეტის ფონზე — ღმერთო, იმას მომასწარი, რომ საქართველოს პირველი პირების გადახაზული პლაკატებიც აფრიალონ ევროპელმა პედერასტებმა!..

მაგრამ მოდით, თავი ვანებოთ ამ ღვთისპირიდან გადავარდნილებს იმ იმედით, რომ საქართველოში ეს არასოდეს მოხდება და ვნახოთ თუ ასოცირების ხელმოწერა სხვა რა „სიკეთეებს“ გვიქადის...

ხელშეკრულება ორი, პოლიტიკურ-ეკონომიკური ნაწილისგან შედგება. რომლის მხოლოდ ერთ, პოლიტიკურ ნაწილზე აპირებს ხელმოწერას უკრაინის ახალი პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო, არადა ზუსტად იგივეს აპირებდა ვიქტორ იანუკოვიჩი. ანუ, ეკონომიკურ ნაწილზე დროებით უარს ამბობდა, რადგანაც მარტივი ეკონომიკური გათვლებით უკრაინის ეკონომიკა დაინგრეოდა და თავად იქცეოდა ევროპის ჭარბი პროდუქციის გასაღების ბაზრად. მაგრამ ამისთვის იგი ჩამოაგდეს ამერიკელებმა, ხოლო იგივესათვის იგივე ამერიკელებმა პოროშენკო პოსტსაბჭოთა სივრცეში ლამის დემოკრატიის ახალ შუქურად შერაცხეს, ძველი, სააკაშვილის ჩამქრალი შუქურის ნაცვლად!

საქართველო კი ორივე ნაწილზე ერთად აპირებს ხელმოწერას და ამ „სიმამაცისთვის“ იგივე ბედი ელის, მაგრამ მოდით, თავი ვანებოთ ეკონომიკას და მხოლოდ პოლიტიკური ნაწილი განვიხილოთ, რასაც ნაც-ქოცები ანტიდისკრიმინაციული ერთობის მსგავსი ერთსულოვნებით უწოდებენ ევროატლანტიკური სივრცისკენ გადადგმულ კიდევ ერთ, ამჯერად ისეთ გადამწყვეტ ნაბიჯს, რომ უელსის სამიტზე უეჭველად მოგვცემენ მაპს, მაგრამ...

რამდენი ასეთი „გადამწყვეტი ნაბიჯი“ გადავდგით მას მერე, როცა ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს პირველად ეწვია საქართველოს სულ რაღაც რამდენიმე საათით „ნატოს“ მაშინდელი „გენსეკი“ ჰავიერ სოლანა და ვიდრე დღემდე, ანდრეს ფოგ რასმუსენამდე?

ნატოსკენ მრავალწლიანი სწრაფვის შედეგი კი აბსოლუტური ნოლია. თუმცა, ნეიტრალური ნოლი კი არა, ამ უგონო ახირებამ მინუსებში გადაგვაგდო — დაგვაკარგვინა სოხუმ-ცხინვალი და კრემლის კეთილი ნების გარეშე ისევე დავიბრუნებთ ჩვენს ძირძველ ტერიტორიებს, როგორც კიევი დაიბრუნებს ყირიმს!

ეგეც იქით იყოს და ნატო-საქართველოს ურთიერთობამ უკვე არა თუ დაცინვის, ცინიზმის ფორმა შეიძინა!

შევარდნაძის პირველი 20-კაციანი ბატალიონის შემდეგ, უკვე სააკაშვილის ძალისხმევით ქართველ მამლუქთა წილმა ნატოს ე.წ. სამშვიდობო ოპერაციებში საგანგაშო მასშტაბებს მიაღწია. რისთვისაც მიშამ, პრაქტიკულად, ხელშეუხებლობა, ხოლო 2008-ში გაუპატიურებულმა საწყალმა საქართველომ „მაპზე უკეთესი“ — ნატოს ასპირანტობა მიიღო...

უკვე ივანიშვილის პრემიერობისას პირველი დიდი მსხვერპლი და ნატოს გენმდივნის ნიანგის ცრემლების შემდეგ მისივე აღიარება, რომ ავღანეთში დაღვრილი ქართული სისხლი არ არის ნატოში გაწევრების გარანტია...

კიევის კრიზისის ფონზე, ბარაკ ობამასგან სილის გაწვნა, რომ საქართველო ნატოსკენ მიმავალ გზაზე არ დგას და ნაცებ-ქოცების ერთობლივი ღნავილი — „ეს“ რომ თქვა, „ის“ იგულისხმაო და ა.შ. ქართველი ხალხის დაბოლების სხვა მცდელობები...

ანგელა მერკელის სულ ცხელ-ცხელი „ნიუსი“ — „საქართველო უელსში მაპს ვერ მიიღებს“ და ალექსი პეტრიაშვილის ოპტიმიზმი — არ ვიცი ზუსტად როგორ და რა, მაგრამ საქართველო-ნატოს ურთიერთობებში ჩვენი დიდი წვლილი ავღანეთსა და აგერ ახლა უკვე აფრიკაში განსაკუთრებულად აღინიშნებაო და აგერ, წერილზე მუშაობისას მოვისმინე თუ რას მიიღებს საქართველო უელსის სამიტზე — „გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტი“ და სავარაუდოდ, კიდევ ერთხელ ჩაგვიწერს ამერიკელი მას(ტ)ავლებელი „სასკოლო დღიურში“, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი. ანუ, მორიგი ცინიზმი და დაცინვა...

ამასობაში კი რუსეთი თავისას იზამს და „გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტს“, გაძლიერებულად „გაგვიკეთებს“ ქართველებს!..

თუმცა, რაღა „იზამს“, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ლიდერმა თიბილოვმა რუსეთთან მიერთების რეფერენდუმი გამოაცხადა, რაზედაც პეტრიაშვილმა ცხვირში ჩაიდუდღუნა — მაგ რეფერენდუმს დასავლეთი არ ცნობსო, დაგვამშვიდა!

ეეე, ტუტუც! არც ყირიმის რეფერენდუმი სცნო ნატომ თუ აშშ-მა, მაგრამ ყირიმი დღეს და ეჭვი მაქვს, აწ და მარადის, რუსეთის გუბერნიაა...

და ბოლოს:

სხვათა შორის, სწორედ ევროპის მიერ განწირული კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ აღმოჩნდა საქართველო ისლამურ ოკეანეში და სტამბოლისა და ისპაჰანის სცილა-ქარიბდას შორის მოყოლილი, თუ ვინმესკენ ისწრაფვოდა, მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთისკენ, რაც ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა მეფე ერეკლემ და ახლა, რაც უნდათ ის უწოდონ ამას სამთავრობო თუ „ასო“ (არასამთავრობო ორგანიზაციების) — ხლისტებმა, ანექსია თუ ოკუპაცია... დიდმა ილიამ ქართველი ერის ფიზიკურ-ზნეობრივი გადარჩენა დაარქვა 1801 წელს საქართველოს რუსეთთან შეერთებას და მეც საქართველოს მომავალს მხოლოდ რუსეთთან მჭიდრო კავშირში ვხედავ და არა ნეოლიბერალურ გლობალისტურ ევროპაში და ამის გამო, მეც რაც გინდათ ის მიწოდეთ, ხლისტებო, რუსეთუმე თუ მოღალატე!

არა, ერთი სწრაფვა ევროპისკენ მართლაც ჰქონდა საქართველოს ვახტანგ VI დროს, მაგრამ მაშინ „ციცას ეფერებოდა ლუი XIV“ და საქართველო ფეხებზე ეკიდა — ჰოდა, ეს ევროპაც იმ ლუის მემკვიდრეა და მასაც ისევე „ჰკიდია“ საქართველო, როგორც ლუის „ეკიდა“...

P. S. თავის დროზე დიდ ჭაბუა ამირეჯიბს ექსკლუზიურად დავუსვი კითხვა — აზიელები ვართ თუ ევროპელები? და ახლა დიდი მწერლის და მოაზროვნის პასუხს გთავაზობთ ჩემი არქივიდან , რადგანაც მჯერა, რომ ეს წინამდებარე წერილის პათოსში ჯდება:

„ჩვენ არც ევროპელები ვართ და არც აზიელები. ჩვენ ვართ ის, როგორი სულიერებითაც მოვედით ამ დალოცვილ, მაგრამ „შარიან“ მიწა-წყალზე, პლიუს ის, რაც ევროპა-აზიიდან „ვისესხეთ“ და გავიქართულეთ — ჩვენ ქართველები ვართ!!!“

დ. მ.

◎ ალიანჩალიანი

საქართველოში ახალი ავიაკომპანია შემოვიდა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ტურიზმის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს, უკრაინული Yan Air კიევის ჟულიანის აეროპორტიდან ბათუმის მიმართულებით პირველ ავიარეისს სამ დღეში შეასრულებს, 1 ივლისიდან კი თბილისის მიმართულებით იფრენს.

— ავიაკომპანია Yan Air ყოველ ოთხშაბათს და შაბათს კიევი-ბათუმი-კიევის რეისს შეასრულებს. ყოველ სამშაბათს, ხუთშაბათს და კვირას კიევი-თბილისი-კიევის რეისი შესრულდება და ათასობით მგზავრის გადაყვანა მოხდება, — აცხადებენ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში.

მათივე ინფორმაციით, უკრაინული ავიაკომპანიის ფლოტი თანამედროვე ლაინერებისგან შედგება. ავიაკომპანიის შემადგენლობაშია Airbus 320-ის და შააბ 340-ის თვითმფრინავები.

„ბოლო თვეებში უკრაინიდან საქართველოს მიმართულებით სხვადასხვა ავიაკომპანიებმა ათზე მეტი დამატებითი და ახალი რეისი დანიშნეს. მიზეზი უკრაინიდან საქართველოში ტურისტების ნაკადის უპრეცედენტო ზრდა არის. ახალი რეისების დასანიშნად მოლაპარაკებებს უკრაინულ ავიაკომპანიებთან ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მართავდა.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელს უკრაინიდან საქართველოს 126 797 საერთაშორისო მოგზაური ესტუმრა, მატება 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 66%-ია. წელს საქართველო დაახლოებით 250 ათას უკრაინელ ვიზიტორს ელოდება.

ღორები

იმისათვის, რაც ახლა უნდა ვთქვა, ბოდიშს ვუხდი ბიოლოგიურ ღორებს. მათზე აუგი არ მაქვს სათქმელი. ამჯერად სოციალურ ღორებზე უნდა ვილაპარაკო, რომელთა ღორობა ნამდვილ ღორებს არასოდეს აზრადაც არ მოუვათ. საწყალ ნამდვილ, ანუ ბიოლოგიურ ღორებს სხვა ოთხფეხებზე ცოტა მეტი მადა აქვთ, თორემ სოციალურ ანუ ორფეხა ღორებთან შედარებით უმადობა სჭირთ, ნამდვილად.

რატომ დამჭირდა ამ მეტად სასარგებლო შინაური ცხოველის გახსენება და თანაც მათთვის ბოდიშის მოხდა? იმად, რომ ახლახან ადამიანთა ისეთი საქციელის მოწმენი გავხდით, რაც დიდად სცილდება ტრადიციული და არატრადიციული ზნეობის ყველა ნორმასა და წესს...

ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნების კვირაძალზე თბილისის საკრებულოს დეპუტატებმა, ანუ ხალხის რჩეულებმა, მათი უფლებამოსილების შეწყვეტამდე მოასწრეს და ხელფასების სამმაგი(!!) ოდენობის პრემიები გამოიწერეს!

ჩვენი ხელისუფლებისაგან, ძველია ის თუ ახალი, ყველაფერს უნდა მოელოდე კაცი, მაგრამ ამგვარი ღორობა ნამეტანია, მაინც! როცა მოსახლეობა სულს ღაფავს, პენსიონერებს შუქისა და გაზის გადასახადებისათვის ძლივს ჰყოფნით უბადრუკი 150 ლარი (თუ, რა თქმა უნდა, ჯანმრთელები არიან და წამალი არ სჭირდებათ!), მათ მიერ არჩეული დეპუტატები კი სამიათასიანი ხელფასების სამმაგი რაოდენობის პრემიებს იწერენ, გაფიცებთ ყველაფერს, ღორობის გარდა რა ეწოდება ამას?

არა, შეიძლება უფრო უარესი სახელიც მოეძებნოს ამგვარ საქციელს, მაგრამ გაზეთში ამის გაცხადება არ ივარგებს, ისინი თუ არა, ჩვენ ხომ ხალხი ვართ მაინც.

ღორობა ღორობაა, მაგრამ ამ თავიანთი ღორობის გამართლება როგორ სცადა საკრებულოს... (ჰმ!) თავმჯდომარემ თუ იცით? იცით, აბა, რა! ვის არ დაამახსოვრდებოდა მისი ღრმად ინტელექტუალური (ჰო, ნიჭიერი!) ახსნა: ეს ამხელა პრემიები რომ დავირიგეთ, ჩვენთვის კი არ გვინდოდა, გაჭირვებულების დასახმარებლად ქველმოქმედებას ვაპირებდითო. ესეც არ იყოს, რა, არ გვეკუთვნის მაღალი პრემიები და ხელფასები, თუ რაო; რასაც ჩვენ თქვენს საკეთილდღეოდ თავწახრილები მუხლჩაუხრელად ვმუშაობთო...

არაფერსაც არ ვაჭარბებ და არც ვაშარჟებ. ზუსტად ასე თქვა იმ დედაგანათლებულმა და მამაცხონებულმა საღორის, უკაცრავად, საკრებულოს თავმჯდომარემ.

რას ეტყვი, დაამუნათებ და დატუქსავ, თუ ვინმეს კარგ საქციელზე მიუთითებ, მაგალითად? რომ გვითხრას, ჩვენზე მაღალმდგომმა მთავრობამ მოგვცა მაგალითიო? თავდაცვის მინისტრი რომ პრემიის სახით 80 000 ლარს ღებულობს, მისი ხელფასის რამდენი პროცენტია ესო, — რომ გვკითხოს, რას ვეტყვით მაშინ? ეტყვით, რომ მომავალი დიდგორისა და ბასიანის ბრძოლებში გამარჯვებებისა და ნიკოფსიიდან დარუბანდამდე საქართველოს საზღვრების გაფართოებისათვის მიიღო ავანსადო? იქნებ ვუთხრათ კიდეც, მაგრამ ისიც გეტყვის, ამ ბოლო სამ დღეში ჩვენც ვაპირებდით თბილისისა და თბილისელების აშენებასო. რატომ ვერ გვეტყვის, ჭკუა დაუშლის თუ კაცობა!

ამ ე. წ. ჩვენი ხელისუფლების ქმედებებს კი მოვუძებნე, მგონი, ზუსტი სახელი, მაგრამ ჩვენ თვითონ ვინ ვართ, რა ჯიშისა და ჯილაგისანი ვართ, - ვინ მეტყვის ამას? ხალხი ვართ, ვითომ? კი გვითხრა დიდმა ილიამ საუკუნენახევრის წინათ, ვინც ვიყავით, მაგრამ მას შემდეგ დიდად შევიცვალეთ — ღირსების გრძნობა გაგვიქრა და განათლებასა და განსწავლულობას ვუწოდებთ ამას, რომელიც, თურმე, ჩვენი ლიბერალური უბადრუკობითა და დემოკრატიული კრეტინიზმით გამოიხატება.

ილიას დროს თუ ქართველთა 80%-მა წერა-კითხვა არ იცოდა, ტელევიზორი და რადიო არავის ჰქონდა, ახლა ხომ ამდენივე პროცენტი ინტერნეტშია ჩართული და ნუთუ მაინც ისეთივე ყრუები და ბნელები ვართ, როგორც საუკუნენახევრის წინ იყვნენ ჩვენი წინაპრები? სამი ქართველი თუ არის თავმოყრილი, ისინი რომ უსათუოდ შექმნიან ოთხ პარტიას, ვერ ვხედავთ ამას? ათკაციანი და 1%-იანი რეიტინგის მქონე პარტიათა ბოსებს 20-30 ათასლარიანი ხელფასები რომ აქვთ, იმათ აქციებზე სიარულით და ტაშისკვრით ვიკლავთ თავებს?

ვინ არიან ეს მაწაკი გოგოები და შაშუ-ბეშა ბიჭები, რომლებმაც პოლიტიკოსები დაირქვეს და ჩვენს წინამძღოლობას ჩემულობენ? რატომ არ ვკითხულობთ, რა ფულით დაეთრევიან უცხოეთში და რას ლაპარაკობენ ჩვენი სახელით? არ ვკითხულობთ და ამ „პოლიტიკოსებმა“ რაც დაგვმართეს 1990-1992 წლებში, 2008-ში და შემდგომ და მანამდეც, ის მოგვივა ახლაც! ვიდრე არ მივხვდებით, რომ ჩვენი მშველელი არც ედიკაა და არც მიშიკა, არც შალიკო და არც ბიძო, მანამდე არაფერი გვეშველება!

ღირსეულმა ხალხმა ის როგორ უნდა დაუშვას, რომ მისი წინამძღოლობის მოწადინე იყოს ლიყიანი და ბრუტიანი, კოჭლი და მაიმახი, ცალტვინა და ბრიყვი? მარტო მოწადინე კი არა, კიდევაც ისრულებდეს წადილს!

ჭკვიანი კაცი სხვათა შეცდომებზე სწავლობსო, — ნათქვამია. ჩვენ სხვის შეცდომებზე კი არა, საკუთარზეც ვერაფერს ვსწავლობთ. ასეთი მასობრივი გამოთაყვანება, ჩვენ რომ გვჭირს, სხვაგან არ შეიმჩნევა.

ჩვენი ღორები მარტონი არ არიან. მათ უკან ძლიერი მტაცებლები დგანან, რომლებიც ანგელოზის ნიღბებით ეჩვენებიან ჩვენს ბრიყვ საზოგადოებას და ბრძენის მანტიამოსხმულები გვმოძღვრავენ: თქვენს ხელისუფლებს, მართალია, ღორული სიფათები და საქციელი აქვთ, მაგრამ, სინამდვილეში, დემოკრატიის შუქურები არიან, რომლებიც წაგიძღვებიან ბედნიერი მომავლისაკენ ანუ ნატოსკენო.

ლეგენდა თუ მითი, ჩვენი ხალხის გამორჩეული თავმოყვარეობისა და სიამაყის შესახებ, ჩვენს თვალწინ გაქარწყლდა. რა ითვლებოდა ყველაზე უღირს საქციელად წარსულში (და ახლაც)? მათხოვრობა! მათხოვარს ჩვენში „გლახა“ ერქვა, უფრო სწორად, „ღვთის გლახა“, თუმცა, გლახა გლახაა, ღვთის არის თუ ეშმაკის. გაიარეთ ქალაქში და ნახავთ, გავსებულია ქუჩები ქართველი მათხოვრებით. აბა, ერთი ვინმეს თუ უნახავს ქურთი მათხოვარი ჩვენს ქალაქში? ვერ ნახავდა. მაშ, თბილისში ყველაზე ღირსეული ხალხი ქურთები ყოფილან. ქართველებს კი გვეგონა, რახან ისინი ქუჩებსა და ეზოებს გვიდნენ, რაღაცით, ჩვენზე ნაკლებები იყვნენ!

ვაი შენ, ბრიყვულო უმეცრებავ და უმეცრებაზე დამყნილო ქედმაღლობავ!

რა ვქნათ, ვის მივაკითხოთ რჩევისათვის? იქნებ, ისევ იმ პოლიტიკური „პარტიების“ იმედად ვიყოთ, რომელთა ლიდერები უცხოური ძღვენით (გრანტით!) ივსებენ გაღორებულ მუცლებს! ხომ ვცადეთ ბევრჯერ და არ გამოვიდა ამისგან არაფერი. არც არაფერი გამოვა, ვიდრე ჩვენს ფესვებთან არ დავბრუნდებით, ვიდრე ჩვენს დიდ წინაპრებს არ დავუგდებთ ყურს და ვიდრე ეშტონი თუ რასმუსენი იქნებიან ჩვენი საქმის გამრიგენი. შოთა რუსთაველს და ილია ჭავჭავაძეს მივაკითხოთ, დავით გურამიშვილსა და ვაჟა-ფშაველას მივაკითხოთ და იქნებ მივხვდეთ, რომ ჩვენი თავი „ჩვენ უნდა გვეყუდნოდეს“, იქნებ ვირწმუნოთ, რომ „ვინც არ არის კახაბერი“, მას ნუ ვიტყვით კახაბერად, იქნებ დავიჯეროთ ბოლოს და ბოლოს, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“, რომ „თავია სიცრუე, ყოვლისა უბადობისა“ და გადამწყვეტი ჭიტლაყი ამოვკრათ იმ ღორებსა და ძაღლიშვილებს, ამდენი წელი რომ გვატყუებდნენ, თვითონ და მათი ნაშიერნი კი სრა-სასახლეებს იდგამდნენ აქ თუ სხვაგან.

ახლა ვინც სრულ ჭკუაზეა და კაცობაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს, დაინახავს, ალბათ, რომ ჩვენი ხელისუფლები არა მარტო გაღორდნენ, არამედ კიდეც გაგიჟდნენ, ან ჩვენ გვთვლიან გიჟებად. აი, მაგალითად, „ოცნების“ ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი ქალბატონი, თითქმის მთლად ლიდერი ვაჟბატონის ცოლი და დეპუტატი დღეში ცხრაჯერ, კაპასი ბიცოლაჩემის მსგავსად, გაჰყვირის ტელეეთერში: არჩევნებმა აჩვენა, რომ ნაციონალური მოძრაობა, როგორც ჩვენი ოპოზიცია გაქრა პოლიტიკური სივრციდანო. ფა-ფუ, გაქრაო! ნაციონალების ასეთივე ლიდერი, პრეზიდენტის ყოფილი ნოტარიუსი, ვაჟბატონი, ანუ პარლამენტის ყოფილი სპიკერი დასცინის ამ იურისტ ქალბატონს, ოცდაშვიდი ექვსზე მეტიაო. დასცინებს, აბა, რა! ნაციონალებმა მეორე ადგილი აიღეს არჩევნებზე — 27%. მესამე ადგილზე გასულმა მგონი შვიდი პროცენტი მოაგროვა (თბილისის მერის არჩევნებს ვგულისხმობ!). ოცდაშვიდი მართლაც მეტია შვიდზე, რაც, არა მგონია, იმ ბიცოლაჩემის მსგავსმა კაპასმა ქალმა არ იცოდეს, მაგრამ ეჭვი მაქვს (ძალიანაც გონივრული!), რომ ჩვენ გვაბითურებს ორივე — კაპასი ბიცოლაჩემის მინამგვანი, მხოლოდ მისგან განსხვავებით, უზარმაზარი ხელფასით გაბეყერებული ქალბატონი და ასევე გვარიანად გაღორებული ყოფილი ვაჟბატონი სპიკერი.

კი, გვაბითურებენ ნამდვილად! ვითომ ჩხუბობენ, ჩვენს დასანახავად, ცხადია, ისე კი ერთმანეთთან ჩახუჭუჭებულები არიან!

ანდა ეს რად ღირს: ქვეყანა თავზე გვემხობა და ვითომ ქართული ტელევიზიები დღედაღამ იმაზე მსჯელობენ, მოსწონთ თუ არა ერთმანეთი, სიყვარულით ესალმებიან თუ არა ერთმანეთს პრეზიდენტი (მეტი არაა ჩვენი მტერი, ის პრეზიდენტი არ იყოს!) და პრემიერ-მინისტრი (ანუ, როგორც ვასიკო ოდიშვილი ხუმრობს, პრემიეროვიჩი)!

ასე აღარ შეიძლება! უკან დასახევი გზა, ანუ მოსაცდელი დრო ჩვენ უკვე აღარ გვაქვს! როგორც 1941 წლის დეკემბრის ერთ სუსხიან დღეს, ლეგენდარულმა სერჟანტმა მოსკოვის მისადგომებთან სანგარში მყოფ თვრამეტ პანფილოველ ჯარისკაცს მიმართა: „არც ერთი ნაბიჯი უკან! ჩვენს უკან მოსკოვია!“ ანუ სამშობლოაო და არც დაუხევიათ: თვრამეტმა ჯარისკაცმა 25 ტანკი ააფეთქა, თვითონაც დაიღუპნენ, მაგრამ სამშობლო გადარჩა!

ასეა ჩვენი საქმე ახლა!

ასე თუ არ ვიზამთ, ჩვენც ისეთივე ღორები ვიქნებით, რომლებზეც ვილაპარაკეთ!

ზურაბ ცუცქირიძე

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ბუმ კვერცხები უკვე დადო, თუ წაბლის და ისვის ტოლმის მოხარშვას ელოდება?

● ნეიტრალურ ტერიტორიაზე დებატები მაგარი მოფიქრებულია (ნეტა იმის თავში ჩამახედა). მთაწმინდისა და კოკის გასაყარზე მივლენ ლიმუზინებით... უკან ბრგე, შავსათვალიანი ტიპები, კოსტიუმში ხელშეყოფილები (ნა ვსიაკი პაჟარ).

● საიდან მოდიან ეს ყიზილბაში კოღოები? დვარნიაშკა კალმახს ვგავარ.

● ლიუძი, ჩელოვეკიი, ხალხოო! ისე ნუ იზამთ, როცა აღარ იქნებით, „აპა“-ც აღარ თქვას არავინ:

„გარეთ ხმაურობს წვიმა...
ოთახს ანათებს ლამფა...
— პეტუშა გახსოვს?
— იმე!
— რა ბიჭი იყო!
— აპა!“

● მამენტ 1 მილიონ ამომრჩეველში 2% პედერასტი, 3% მანიაკი, 5% ბოზი, 10% ფულზე გაყიდული და 15 % ხათრიანი ქე უნდა იყოს და რატო ვწუწუნებთ?

● თუ სასწრაფოთი არ მიიყვანე ბავშვი ექიმთან, დაზღვევა უძლურია... თქვენი რეფორმები რა ვთქვი!

● კეთილო ადამიანებო,

გთხოვთ საქართველოს ხელისუფლებიდან (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) დამისახელეთ ადამიანი, რომელსაც სიტყვა „მამულიშვილი“ შეეფერება. (მამულიშვილი — სამშობლოს მოყვარული, თავისი ქვეყნისა და ხალხის ერთგული, მათთვის თავდადებული).

ახლა, იმავე ხელისუფლებიდან, დამისახელეთ კი არა და, ჩამომითვალეთ ადამიანები, რომელთაც სიტყვა „თავკერძა“ შეესასატყვისება (თავკერძა — ვინც მხოლოდ თავის თავზე ზრუნავს, ფიქრობს). აი, საქმეც ეგ არის!

● კიდევ იტყვით, პრანდელის ხელში იტალიის ნაკრები ძალიან „სიმპათიურ“ ფეხბურთს თამაშობსო?

„სიმპათიური“ ფეხბურთი რაღა ჯანდაბაა?

პირადად მე, იტალიის ნაკრების „სიმპათიური“ არა, მაგრამ გენიალური თამაში 1982 წლის შემდეგ აღარ მინახავს!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

„ნუ ეხუმრებით ქართულ მიწა-წყალს“,

ანუ პრობლემები არ გველევა

2014 წლის 24 ივნისს საქართველოს ტელევიზიის არხებმა ქვეყნის მოსახლეობას ამცნო, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ საერთაშორისო ორგანიზაციის „გამჭვირვალე საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორის ეკა გიგაურის შეტანილი სარჩელი მიწის გაყიდვაზე არსებული მორატორიუმის გაუქმების შესახებ, დააკმაყოფილა. აღინიშნა, რომ არსებითი განხილვის გარეშე ეს ნორმა საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო.

საკითხავია, თუ სარჩელი არსებითი განხილვის გარეშე დაკმაყოფილდა, სასამართლოს თავმჯდომარე პაპალაშვილი რატომ აყოვნებდა რამდენიმე თვე განჩინების გამოტანას? მაგრამ ნაციონალების მიერ ქართველი ხალხისთვის თავსმოხვეული კანონი, შუბლის ძარღვის საერთოდ არმქონე თავმჯდომარემ, მთელი ერის საწინააღმდეგოდ ისევ ძალაში დატოვა. **მოკლედ, უცხოელ მოქალაქეებს მიწების შესყიდვის უფლება ისევ მიეცემათ.**

ტელევიზიით ამ ცნობის გადმოცემისთანავე გარედან დამოძღვრილმა და ნასადილევმა ეკა გიგაურმა, რომელიც კოჟორიძისა და ლომჯარიას მსგავსად კუჭს ზემოთ ვეღარ იყურება, ქართველი ხალხის დარიგება დაიწყო: როგორ შეიძლება უცხოელებზე ქართული მიწა არ გაიყიდოს და ნაციონალური ნიშნით ეს საკითხი გადაწყდესო. მერე რა მოხდა — ყველა სასოფლო-სამეურნეო მიწების მხოლოდ 0,7 პროცენტია გაყიდულიო. ჯერ ერთი, როგორც ამბობენ, გაცილებით მეტი მიწის ფართობებია გაყიდული, მეორეც, იქნებ ამ თავქეიფა ქალბატონმა ისიც გვითხრას, სასოფლო-სამეურნეო მიწების რამდენი პროცენტია გაყიდული სომხეთსა და აზერბაიჯანში? ან ის მაინც დაგვიზუსტოს, ისრაელში მიწა იყიდება თუ არა? ამასთან, უცხოელებმა შეიძინეს ყველაზე საუკეთესო მიწები ძირითადად კახეთსა და თბილისის შემოგარენში და არა, ვთქვათ, ხარაგაულის რაიონში.

ამ ეკონომიკური სიდუხჭირის ჟამს, რამდენიმე მილიონერს შეუძლია იყიდოს მთელი კახეთის მიწები ჩალის ფასად და იძენდნენ კიდეც. ტელევიზიით ბატონი ზურაბ ტყემალაძეც გამოვიდა და აღნიშნა, პარალელურად მიწის ფასს გავზრდითო, მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეშია. ამჟამად რამდენიმე შერეკილი მილიარდერი მთვარესა და მარსზე ყიდულობს „ნაკვეთებს“ და რა დამცავი მექანიზმი გვაქვს იმისათვის, რომ ისინი დაცარიელებულ თუშ-ფშავ-ხევსურეთის, ან სულაც მთელი საქართველოს მიწებს არ შეიძენენ. მე შენ გეტყვი და ჩვენი მთიანეთი შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების შემთხვევაში საკურორტო ზონად, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის არ გამოდგება! საერთოდ კი საკითხავია, როდესაც წლების განმავლობაში ქართველებით დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობის ბუნებრივ კლებას აქვს ადგილი, ხოლო მიწები უცხოელებზე იყიდება, რატომ ვერ ისვენებენ და რა ჯანდაბა უნდათ ამ გიგაურებს, კოჟორიძეებს, ლომჯარიებს და, საერთოდ, ნაციონალებს.

აღნიშნულ პრობლემაზე ყველგანმავალი ნაციონალი ჯაფარიძეც გამოიყვანეს. გასაგებია, ამ ნაციონალსაც თანამოაზრეების მსგავსად კაი გვარიანად აქვს კრამიტი დაცურებული, მაგრამ ამ ტელეჟურნალისტებს რაღა დაემართათ — კაცს ერთი მილიონის დაკარგვა ვერ მოუნელებია და არ ასვენებენ.

რადგან სიტყვა ჟურნალისტებზე ჩამოვარდა, ისიც უნდა ითქვას, რომ მათმა დიდმა ნაწილმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნის სულიერ და ეკონომიკურ დაძაბუნებას. ნუთუ, მათ კოჟორიძების, ლომჯარიების, გიგაურების მეტი ვერავინ მონახეს, რომ მათგან ყოველდღიურად ორ-სამჯერ არ აიღონ ინტერვიუ, ან პროფესიონალმა ტელეჟურნალისტმა როგორ შეიძლება არჩევნების თემაზე სტუმრად არჩევნების გაყალბების დიდოსტატი ხათუნა გოგორიშვილი მოიწვიო, ან გიორგი ბარამიძეს მორალზე ესაუბრო.

ახლახან, ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ბარამიძემ, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები უაზროდ ფულის ხარჯვაში დაადანაშაულა — როგორ შეიძლება ყველა მოსწავლეს უფასოდ წიგნები დაურიგდესო — ვინც შეძლებული ოჯახიდანაა, მათ წიგნები უფასოდ არ უნდა მივცეთ და ეს თანხა სხვა საჭირო საქმეს უნდა მოვახმაროთო. ჯერ ერთი, იმის კვლევა ძალიან ძნელია, ვის ძალიან უჭირს, ვის კიდევ ცოტა ან არ უჭირს. მეორეც, წიგნები მოსწავლეთა ნაწილს მივცეთ უფასოდ და ნაწილს — არა, ეს ეთიკურად გაუმართლებელია. მაგრამ ესეც არ არის მთავარი. ამ ნაციონალების რუპორს, თუ მეხსიერება არ ღალატობს, ემახსოვრება, რომ 20-ლარიანი ვაუჩერი მთელი საქართველოს მოსახლეობას დაურიგეს, მათ შორის, კაი გვარიანი შემოსავლების მქონე გია ბარამიძესაც, რომელმაც უკადრებელი იკადრა და თავისი 20-ლარიანი ვაუჩერი წინასწარ შერჩეულ ღარიბ ოჯახს ჩაუტანა დიდი ამბით და საჩუქრად გადასცა ყვარელსა თუ ლაგოდეხში. მისი და მისი დაცვის მგზავრობა ათასი ლარი მაინც დაჯდა. სამაგიეროდ, ნაციონალების აზრით, კარგი პიარი აგორდა.

ერთიც უნდა ითქვას. არ შეიძლება ტელევიზიის ყველა არხზე ერთი და იგივე, ისიც მხოლოდ პარტიული წარმომადგენლების მოწვევა. ძნელია, მაგალითად, უსმინო გუგავას — ყოჩაღ ჯარისკაცს შვეიკს, უყურო ნათელაშვილის მარჯვენა და მარცხენა ხელს და თვით ნათელაშვილს. არ შეიძლება, ტელევიზიაში მოიწვიო თუთბერიძე, ვიღაც ორჯონიკიძე და „ქალბატონი ფინთიკოზა“, საერთოდ, მამალი ნაციონალები და განათლებულ ქართველობას, რომელიც, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ გვყავს, გინდა-არ გინდა, ასმენინო მათი ნაბოდვარი. არც ის შეიძლება, როდესაც არც ისე ტელეჟურნალისტები, რომელთაც, ვთქვათ, აფხაზეთისა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პრობლემებზე წარმოდგენა არა აქვთ, არაფერი არ გაეგებათ და პრობლემებს არჩევენ. იაფფასიანმა შოუებმა კიდევ წალეკეს ტელეეკრანები. ამ დროს პროფესორები, აკადემიკოსები, სპეციალისტები, საერთოდ, განათლებული ადამიანები, შეიძლება ითქვას, ერთხელაც კი არ მიუწვევიათ სტუმრად ტელევიზიებს, არავინ დაინტერესებულა, რას ფიქრობენ ჩვენი სოფლის მცხოვრებლები, თითქოს საქართველო მარტო თბილისი იყოს.

სამაგიეროდ, თავს იმით ირთობენ, თბილისის მერი თბილისელი უნდა იყოს თუ — არა. ეს ირინა სარიშვილი კიდევ რაღამ გააწიწმატა — ბატონ დავით ნარმანიას თბილისელობა არ მოსწონს და ტელევიზორის ეკრანიდან იმუქრება — მას ხმას არ მივცემო, თითქოს, ვისაც ადრე ხმას აძლევდა, იმათმა აგვაშენეს. არც ერთ ტელევიზიას ფიქრადაც არ მოსვლია, თუნდაც ერთი სოლიდური გადაცემა მოეწყოთ ყველაზე დიდ ეროვნულ ტკივილზე — დემოგრაფიის პრობლემებზე. როგორც ჩანს, არ აწყობთ იმის სააშკარაოზე გამოტანა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ სულ მოკლე ხანში უამრავი რამ გააკეთა ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებისთვის და ამ პრობლემის მოგვარებას თვით ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი ჩაუდგა სათავეში.

მინდა, აუცილებლად იმის შესახებაც ვთქვა, რომ ჟურნალისტმა შეიძლება კარგი საკბილო ნახოს, მაგრამ მის შესახებ თავის დროზე უნდა ისაუბროს და არა მაშინ, როდესაც ქვეყანას არ წაადგება. მაგალითად, „მაესტროს“ ჟურნალისტმა ვახტანგ სანაიამ შესანიშნავად იცოდა ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში, შემდეგ იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის და თითქმის მაისის თვეებში, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები დიდ ხელფასებსა და პრემიებს იღებდნენ, მაგრამ მან სპეციალურად მოიცადა და არჩევნების წინ 15 დღით ადრე ატეხა ერთი ამბავი. ამასთან, როგორც შემდეგ გაირკვა, ზოგიერთ შემთხვევაში მეტად გაბუქებულად წარმოაჩინა პრობლემა. ქვეყნის ბედით დაინტერესებულ ჟურნალისტს ამ პრობლემებზე ან თავის დროზე უნდა ესაუბრა ან არჩევნების შემდეგ, რადგან, თუ ქუდი არ გეწვის ან პირწავარდნილი ნაციონალი არა ხარ, ისიც უნდა იცოდე, რომ ნაციონალების პოლიტიკური სივრციდან და ქვეყნის მმართველი ორგანოებიდან წასვლა სულაც არ არის ნაციონალური დანაკარგი. პირიქით, ეს ქვეყნის დამშვიდებას, დაწყნარებასა და აღმავლობას ნიშნავს.

აუცილებელია, ერთიც ითქვას. ბოკერიები, დარჩიაშვილები, ბარამიძეები, ჩერგოლეიშვილები, გოგორიშვილები, წიკლაურები... ერთხელ მაინც თუ დაფიქრებულან იმაზე, კაცმა რა უნდა დაუშავო შენს ქვეყანას ისეთი, რომ შენი მშობლიური ქალაქის ქუჩებში თავისუფლად ვერ გაიარო და წიკლაურების მსგავსად თავი რუმბივით არ გაგიხადონ. აღარაფერს ვამბობ ნაპრეზიდენტალზე, რომელიც რუმბივით გასივდა და იმაზე ფიქრით ათენებს და აღამებს ეს, მართლაც, საშიში არსება, საბოლოოდ სად დაიმალოს, თავი სად შეყოს, თუმცა, სად აქვს თავი შესაყოფი, ყველა ქართველმა შესანიშნავად იცის. იგივე შეიძლება ითქვას კახა ბენდუქიძეზე, რომელმაც ქვეყანას სიცოცხლე გაუმწარა, ეროვნულ სიმდიდრეს სადაც მოეხელთებოდა ურცხვად ყიდდა და მძიმე და აყროლებულ ტვირთად დააწვა მთელ საქართველოს. მათ იმდენი სიავე აქვთ ჩადენილი, უკან დამხევები არ არიან და ისინი ახლაც საშიში არიან ყოველი ჩვენგანისთვის.

ქართველი ხალხი, ქართველი მეფეები შეუპოვრად იბრძოდნენ თავიანთი მიწა-წყლის დასაცავად. ქართველმა მემატიანემ დავით აღმაშენებლის საბრძოლო თვისებებით მოხიბლულმა ასეთი სიტყვებით გამოხატა ერთ-ერთი ბრძოლის დროს დავით აღმაშენებლისადმი თავისი აღფრთოვანება: „ფრიადისა ცემისგან ხმალმანცა დაღულარჭნილმან უარ ყო ქარქაში თვისი“, ხოლო ერეკლე II, ეს უდიდესი მთავარსარდალი, 75 წლის ასაკში ხელში ხმლით იბრძოდა თავისი ქვეყნის მიწის გადასარჩენად, რომლის ანალოგი მსოფლიოში არ მოიპოვება. ქართული მიწის დაცვაზე, მის მოვლა-პატრონობაზე გამუდმებით ზრუნავდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, დავით კლდიაშვილი და მე-19 საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების მთელი პლეადა. ახლა ვიღაც ოკეანედალეული თუ დაულეველი ეკა გიგაური, რომელსაც ხელის დამქაჩავი არავინ ჰყავს, საკონსტიტუციო სასამართლოში ჩივის, ქართული მიწა რატომ არ უნდა გაიყიდოსო, თითქოს საქართველოს მიწები მზითევში ჰქონდეს მოყოლილი, და სასამართლოს თავმჯდომარე პაპაშვილიც კვერს უკრავს. როგორც ჩანს, მათი გზა კუჭზე და ზნეობაზე გადის. ახლა მაინც ქართველმა ხალხმა უნდა იმარჯვოს, რომ ამ ვიღაც ეკა გიგაურის „იუბკა“ თავზე არ ჩამოიცვას, თვით ამ ახალგაზრდა ქართველ თმოძულე ქალბატონს კი შევახსენებ აკაკი წერეთლის ნათქვამს: „ნუ ეხუმრებით ქართულ მიწა-წყალს და ნუ ადგამთ ბიჯს ზედ წარამარა“.

ანზორ თოთაძე

◎ ალიანჩალიანი

ჯიშთა გამოცდის პროექტის ფარგლებში ხორბლის პირველი მოსავალი აიღეს

ბოლნისის რაიონის სოფელ ტალავერში ჯიშთა გამოცდის პროექტის ფარგლებში დათესილი ხორბლის პირველი მოსავლის აღებას სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია დაესწრო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს, ხორბლის პირველი მოსავლის აღებას ასევე დაესწრნენ პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე არჩილ ბუკია, შპს „მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანიის“ ხელმძღვანელი გიორგი ღუღუნიშვილი და მეთესლეობის დარგის სპეციალისტები.

— სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების ხელშეწყობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელმაც დარგის განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი. ჯიშთა გამოცდის პროექტის განხორციელება სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომლის რეალურ შედეგს სულ მალე ნახავს ჩვენი მოსახლეობა. ასევე მინდა, აღვნიშნო, რომ ჩვენ შევქმენით ახალი უწყება სოფლის მეურეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი სოფლის მეურნეობის დარგში არსებული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების, მოსავლიანობის ზრდისა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით, — განაცხადა შალვა ფიფიამ.

ინტერპრესი

ხელისუფლებისგან მოვითხოვ, რომ...

საძართველო! ღვთით კურთხეული ქვეყანა: ეს არის ყოვლის მომცველი, ყველაფრის მთქმელი და სიცოცხლის უზენაესი არსი ქართველისათვის, ვისაც სულაც არ სჭირდება მანქანაზე ან ბინის კარზე ან სხვა რაიმე საგანზე გამოხატული გული, ზედ მიწერილი „საქართველო“, რაც ჭეშმარტ სიყვარულს სულაც არ სჭირდება, ნამდვილი სიყვარული ადამიანის ცნობიერების სულ სხვა სივრცეშია.

ადამიანმა, ქვეყნის მოქალაქემ, სახელმწიფოს სესხად მივეცი გარკვეული თანხა, რომელსაც გამორიცხულია რაიმე ეჭვი შეეტანა მისი მოპოვების სამართლიანობაში, რაზედაც ხელისუფლებამ გასცა თამასუქი, გარანტია ობლიგაციის სახით. საბოლოო ჯამში ვერ ვამტკიცებ, რომ ეს თანხა ჩემია და ჩემი სურვილით ყოველგვარი ძალადობის გარეშე ვასესხე ხელისუფლებას.

სარჩელში ცალსახად განმარტებულია „შევიძინე სახელმწიფო მომგებიანი ობლიგაციები“, ამ განმარტებას ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი პასუხობს „არ ვეთანხმები“, გამაგებინეთ რას არ ეთანხმებით? იმას რომ ობლიგაციები შევიძინე? ასეთი პასუხები ჩემს განმარტებებზე ოთხ შემთხვევაში მეორდება, რაც ხელისუფლების წარმომადგენლის სრულ უტიფრობას ადასტურებს. ხელისუფლების უტიფრობის შედეგია ჩემი უუნარობა ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინაშე.

მეორე მხრივ, დანაშაულების შედეგად, რაც ჩაიდინა წინა ხელისუფლებამ (გააპარტახა, მიწასთან გაასწორა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, რამაც შეიწირა უამრავი ჯიშიანი, ქუჩაში ჩაცხრილული ქართველების სიცოცხლე, ბევრმა დაკარგა ქონება (საკუთრება), სასტიკად შეილახა ღირსეულ ადამიანთა ღირსება და პატივი („ჩარეცხილები“, „მუმიები“ და სხვა), შეილახა ქვეყნის ღირსება, განათლებული ქვეყანა გადაიქცა მსოფლიოში ერთ-ერთ გაუნათლებელ ქვეყნად და სასტიკად უარყოფითი იმიჯით. თურმე ყველაზე მეტი ქურდი საქართველოს ყოლია მსოფლიოში. საქართველოში ყვავის ვოლუნტარიზმი, როცა ქურდულმა მენტალიტეტმა ხელისუფლებაში გადაინაცვლა, როცა კორუფცია სახელმწიფოს სახე გახდა, როცა კორუფციული და კრიმინალური საპრეზიდენტო ბრძანებულებები ტვინის ამხდელ შედეგებს აყენებს და რასაც ყველაფერ ამას ჰყავს რეალური შემსრულებელი თვით სააკაშვილის მეთაურობით და რომელიც პირველია გაქცეულთა შორის (მერაბიშვილები, ადეიშვილები, ახალაიები, უგულავები... ზოგი ციხეშია, ზოგიც – გაქცეული) და შეგიძლია იგულავო ამ გვარებში ისე, რომ ვერ დაუმტკიცო დანაშაულები, წარსულში კრიმინალების, დღეს კი ადვოკატების მეშვეობით, რომლებიც საყოველთაოდ ცნობილი არიან თავისი უსასტიკესი შედეგებით. ეს უკვე აღარ არის უუნარობა ახალი ხელისუფლების მხრიდან (ჩემს მსგავსად), აქ მკვეთრად იკვეთება ღალატი და არა „ღალატი რევოლუციის წინაშე“ (იყო ასეთი ბრალდება 1918 წელს რევოლუციის გარიჟრაჟზე), არამედ ღალატი უკვე აშენებული, განათლებული, თავისუფალი ერით დასახლებული ქვეყნის წინაშე.

გაგვეცით პასუხი, რასთან გვაქვს საქმე, ქვეყანაში ადამიანის უფლებათა ტოტალურ დარღვევებთან (ჩემი მაგალითი ზოგადია) თუ ქვეყნის ხელისუფლებაში ჩანერგილ დამნაშავეთა ღალატთან, საკვანძო ინსტიტუტებში ნაცისტების სიმრავლით, საბოტაჟებით და პროვოკაციებით, რამაც მიგვიყვანა იქამდე (მოვიყვან ერთ მაგალითს), როდესაც თვით პარლამენტის მიერ შექმნილი ნდობით აღჭურვილი კომისიის მიერ წარდგენილი სამაუწყებლო ტელევიზიის ბორდის დამტკიცება ჩავარდა, რამაც გამოიწვია ბორდში ორ-ხელისუფლებიანობა, ეს რა, მხოლოდ შეცდომა იყო საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან? მაგალითები ბევრია, მათი მოყვანა შორს წაგვიყვანს.

ხელისუფლებისგან მოვითხოვ გაგვცეს პასუხი, ვინ არის ნოდარ ხადური, ციხესიმაგრეში ჩაკეტილი მზეთუნახავი, რომელიც არავის ღებულობს, ხოლო სახელმწიფოს ხარჯზე გამართულ ერთ ტრაპეზზე 30 კგ-ს იმატებს წონაში, მერე კი გვამუნათებს, აი ახლა 15 კგ. დავიკელიო (რაღა თქმა უნდა, მომავალ მორიგ ტრაპეზამდე“)? როგორ ხდება, რომ უკვე თითქმის ორი წელია, ვერა და ვერ მოწესრიგდა ხელფასების, პრემიების გაცემის და მანქანების შეძენის კრიტერიუმები, მაშინ, როცა ჩემი ანკეტის ადამიანს ჯერ კიდევ 2002 წელს გასასტუმრებელ ვალს არ უბრუნებენ. დღეს საქმე ზუსტად ასეა: „ვაის გავეყარე, უის შევეყარე“. ან ის რას ჰგავს, ხელისუფლებაში მყოფი გოგო-ბიჭების ხუშტურებით პრეზიდენტი ჩემსავით უუფლებო პენსიონერად რომ აქციეს, რომელსაც იმის უფლებასაც კი არ აძლევენ, მადლობა გადაუხადოს ღირსეულ ადამიანს, ან ეს გახმაურებული საერთაშორისო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დაბლოკვა რაღაა პრეზიდენტისთვის.

კიდევ ერთი: ნაცების მიერ ეკონომიკური დანაშაულების დეკრიმინალიზაციის მოთხოვნა, როცა თვითონ ნაცებს – ათეული მილიონების ქურდებს ციხეში გამომწყვდეული ჰყავთ ერთი გოგორა ძეხვის ქურდობისათვის, გაუბედურებული ადამიანები ასტრონომიული „სროკებით“, რბილად რომ ვთქვათ, უზნეობაა.

ხალხო, მივაფურთხოთ ეშმაკს და „მუმლი მუხასა“ შეძახილით ზემოთ ჩამოთვლილ კრიმინალებს და მათ მეხოტბე, ხელისუფლებაში მოკალათებულ გოგო-ბიჭებს შევუტიოთ ქართულად, თორემ მოვიდა ისევ სააკაშვილი, ეს ბავშვების დასაფრთხობი ბუა!

მე კი, იძულებული ვხდები, მივიღო აგრესორი რუსეთის მოქალაქეობა, იქნება მათ მაინც დამიცვან ჩემი პაციფისტი, „არა აგრესორი“ დედინაცვალი ხელისუფლებისგან, თავიანთი ძალებით ან თუნდაც სტრასბურგის დახმარებით.

ქართლოს ზაქარეიშვილი.

P. S. აზრებს ვეღარ ვიკრებ, მოვლენის შესაფერის სიტყვებს ვეღარ ვპოულობ, მაგრამ გაძლევს განა ეს ჩემი ნანატრი ხელისუფლება იმის შესაძლებლობას, რომ შეძლო ექიმთან (კვალიფიციურთან) მისვლა და წამლების შეძენა, რომ მშვიდად დაასრულო ეს მძიმედ, მაგრამ ღირსეულად გავლილი ცხოვრება? ეს არის ჩვენი მონაპოვარი? სირცხვილი მათ, ვინც ასეთ სიტუაციაში თავს ამაყად და ბედნიერად გრძნობს, ამას ყველაფერს ხედავს ღმერთი და მჯერა, რომ ყველა საკადრისს მიიღებს.

ქ. ზ.

◎ ალიანჩალიანი

საპროტესტო აქცია საგარეჯოში

საგარეჯოს მოსახლეობა საპროტესტო აქციას მართავს და ნავთობის მომპოვებელი კომპანიის ტექნიკას ე.წ. სათავეს მიმდებარე ტერიტორიაზე არ უშვებს.

როგორც საგარეჯოელები იტყობინებიან, კომპანია „კანარგო ჯორჯიას“ მიერ დაქირავებული პოლონური კომპანია კვლევითი სამუშაოების ჩატარებას იმ ტერიტორიაზე ცდილობს, საიდანაც რაიონს სასმელი წყალი მიეწოდება.

– ამ ადგილს ჰქვია სათავე, საიდანაც მთელ საგარეჯოს რაიონს სასმელი წყალი მიეწოდება. ეს პოლონური კომპანია, რომელიც დაიქირავა „კანარგო ჯორჯიამ“, გეგმავს კვლევით სამუშაოებს, რაც ითვალისწინებს ნავთობის მოპოვების მიზნით, აფეთქებებს. თუ კი ასე მოხდება, მოსახლეობა წყლის გარეშე დარჩება, – განაცხადეს საპროტესტო აქციის მონაწილეებმა.

წელსაც უხვმოსავლიანი რთველი გვექნება

საძართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილი რთველის ორგანიზებულად და წარმატებულად ჩატარების მიზნით, საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანიების ხელმძღვანელებს შეხვდნენ.

შეხვედრას სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე და ასოციაცია „ქართული ღვინის“ აღმასრულებელი დირექტორი თინა კეზელიც ესწრებოდნენ.

შალვა ფიფიას თქმით, შეხვედრის მიზანი იყო რთველის სწორად დაგეგმვა, რათა ის წარმატებულად ჩატარდეს.

– ყურძნის მოსავალთან დაკავშირებით, წელს მოლოდინი საკმაოდ კარგი გვაქვს. წინასწარი მონაცემებით, შარშანდელთან შედარებით დაახლოებით 20%-ით მეტ მოსავალს ველოდებით. სასიამოვნოა, რომ მნიშვნელოვნად გაზრდილია ღვინის ექსპორტიც. წელს, მოთხოვნა გაიზარდა თეთრ ყურძენზე. რაც შეეხება წითელ ყურძენზე მოთხოვნას, სავარაუდოდ, ის 2-ჯერ მეტია, ვიდრე მოსავალი. შესაბამისად, ვიმედოვნებთ, რომ არსებული სიტუაცია მოგვცემს საშუალებას რთველი კარგად ჩატარდეს. ჩვენი მიდგომაა, რომ ამ პროცესში ძირითადი მოთამაშე იყოს კერძო სექტორი და არა სახელმწიფო, – განაცხადა მინისტრმა.

მისივე თქმით, 2013 წლის რთველის მსგავსად, მიმდინარე წელსაც გამოყოფილი იქნება საკრედიტო რესურსი და ღვინის მწარმოებელ კომპანიებს საშუალება ექნებათ ისარგებლონ შეღავათიანი სესხებით. წინასწარი ინფორმაციით, სუბსიდირების სისტემაც შენარჩუნებული იქნება.

როგორც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან დავითაშვილმა განაცხადა, რთველის საკოორდინაციო შტაბი კვლავ გურჯაანის რაიონში განთავსება.

შეხვედრა, რომელსაც 80-მდე ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენელი ესწრებოდა, კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

ქიშმარიას აფხაზეთის „პრეზიდენტობა სურს“

აფხაზეთის ცესკომ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატი, დე ფაქტო თავდაცვის მინისტრი მერაბ ქიშმარია დაარეგისტრირა. ამის შესახებ „რია ნოვოსტი“ იუწყება.

დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში 24 აგვისტოს იგეგმება.

არჩევნების თარიღი დე ფაქტო პარლამენტმა 31 მაისს მას შემდეგ დანიშნა, რაც ე.წ. პრეზიდენტმა ანქვაბმა ოპოზიციის საპროტესტო აქციების ფონზე თანამდებობა დატოვა.

ევროკავშირის ქვეყნებს პოლიეთილენის პარკების მოხმარებით გადავუსწარით

კვლევის თანახმად, საქართველოში პოლიეთილენის პარკების ჭარბი მოხმარება დაკავშირებულია რეგულაციის არარსებობასთან. გუშინ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში „წყალშემკრები აუზების მართვის პროგრამის“ ფარგლებში მოწვეული კონსულტანტის მაიკლ უილიამსის ხელმძღვანელობით, თემაზე „ნარჩენების მართვა – ერთჯერადი პოლიეთილენის პარკების გამოყენების ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი“ პრეზენტაცია გაიმართა.

სამინისტროს ინფორმაციით, პრეზენტაციას საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძე დაესწრო.

პროექტის ფარგლებში პოლიეთილენის პარკებთან დაკავშირებით კვლევა ჩატარდა. საქართველოში პოლიეთილენის პარკების მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე მნიშვნელოვნად აღემატება ევროკავშირის რიგი ქვეყნების მაჩვენებელს. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შეხვედრები ადგილობრივ მწარმოებლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და გამოიკითხა 8000-მდე მოქალაქე, რათა დადგენილიყო პრობლემის მნიშვნელობა საზოგადოების სხვადასხვა წრეებში. გამოიკვეთა მთავარი პრიორიტეტები და გამოწვევები.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული ჯგუფი ექვსი თვის განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა გარემოსდაცვითი საკითხებისა და საკანონმდებლო ინიციატივების ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზზე.

საქართველო-თურქეთის ბიზნესფორუმი

„საძართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ პრეზიდენტის ელგუჯა მელაძის განცხადებით, ეს არის ქართველი და თურქი ბიზნესმენების ტრადიციული ფორუმი.

„ამ ფორუმის თანაორგანიზატორები ვართ ჩვენ „დამსაქმებელთა ასოციაცია“ და თურქ მეწარმეთა ასოციაცია საქართველოში. ამ ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობს თურქეთის საელჩო და საქართველოს მთავრობის მხრიდან ეკონომიკის სამინისტრო და საინვესტიციო სააგენტო. ფორუმის მიზანია, გააქტიურდნენ არა მხოლოდ თურქი, არამედ სხვა ბიზნესმენებიც, – განაცხადა ელგუჯა მელაძემ.

მისივე თქმით, საქართველოში ბიზნესკლიმატი შეიცვალა და საქართველოს მთავრობის მხრიდან არის ინიციირებული სხვადასხვა პროექტები.

– თურქი ბიზნესმენების ინტერესი არის ის, რომ კარგად გაეცნონ არსებულ სიტუაციას და ამ სიტუაციაში მონახონ თავისი ადგილი, თუ როგორ შეიძლება მათ მონაწილეობა მიიღონ პროექტებში. ეს აქტივობები ძალიან საინტერესოა როგორც ქართული, ასევე თურქული კომპანიებისთვის, – განაცხადა ელგუჯა მელაძემ.

ბიზნესფორუმს 60-მდე კომპანიის წარმომადგენელი და თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ზექი ლევენთ გუმრუქჩუ ესწრებოდა.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო ევროკავშირის გზაზე: მოსკოვის პოზიცია

რუსეთი ხელს არ შეუშლის 27 ივნისისათვის დანიშნულ საქართველოს ხელმოწერას ევროკავშირთან ასოციაციასა და ხელშეკრულებაზე თავისუფალი და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის შესახებ. ამის შესახებ ჟურნალისტებს აცნობა საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელმა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების მოწესრიგების საკითხებში ზურაბ აბაშიძემ. აბაშიძის განცხადება გაკეთდა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან გრიგორი კარასინთან სატელეფონო საუბრის შემდეგ. შეგახსენებთ, რომ თავდაპირველად დოკუმენტების გაფორმება დაგეგმილი იყო 2004 წლის სექტემბრისთვის, მაგრამ საქართველოსთან და მოლდოვასთან ხელშეკრულების ხელმოწერის ვადები დაჩქარდა უკრაინაში შექმნილი კრიზისის გამო, რისი საწყისი წერტილიც გახდა იანუკოვიჩის მთავრობის მიერთება ევროკავშირთან უკრაინის ასოციირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერისათვის მომზადების პროცესი. მას შემდეგ, რაც უკრაინაში შეიცვალა ხელისუფლება, ოფიციალურმა კიევმა მიიღო გადაწყვეტილება, გააფორმოს შეთანხმება ევროკავშირთან.

„27 ივნისს ჩვენ მშვიდობიანად და მშვიდად მოვაწერთ ხელს შეთანხმებას ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ, — განუცხადა აბაშიძემ ჟურნალისტებს. — რუსეთი ამ ეტაპზე ამის წინააღმდეგი არ არის“.

21 მაისს ბრიუსელში პრესკონფერენციაზე ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ ასევე განაცხადა, რომ მიმდინარე წლის იანვარში, ბრიუსელში ვიზიტის დროს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი დაგვპირდა — ბაროზოს თხოვნის პასუხად — „არ ჩაერიოს საქართველოს და ევროკავშირის ურთიერთობებში.

„თემა სპეციალისტებისთვის“

ზურაბ აბაშიძის სიტყვებით, საქართველოს მიერ ევროკავშირთან შეთანხმების გაფორმება განიხილება როგორც მის მომავალ შეხვედრაზე გრიგორი კარასინთან, რაც ივლისის დასაწყისში პრაღაში უნდა გაიმართოს, ისე რუსეთისა და საქართველოს ექსპერტებს შორის კონსულტაციის დროს ვაჭრობისა და ეკონომიკურ ურთიერთობათა საკითხებზე. კონსულტაციები ასევე გაიმართება პრაღაში — კარასინისა და აბაშიძის შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე.

„ინფორმაციულობის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ის, თუ როგორია რუსეთის შეხედულება შეთანხმებაზე ასოციაციის შესახებ: როგორ ფიქრობს რუსეთის ფედერაცია, გააგრძელოს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის პროცესი საქართველოსთან. ალბათ, ჩვენ ვერ შევძლებთ, გვერდი ავუაროთ ამ საკითხების განხილვას, მაგრამ ეს უმთავრესად სპეციალისტების თემაა, ვიდრე საერთო განხილვისა“, — განმარტა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა.

აღსანიშნავია, რომ ადრე, 22 მაისს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ საქართველოს აქვს უფლება, ხელი მოაწეროს შეთანხმებას ევროკავშირთან. ამავე დროს, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის ალექსანდრ ლუკაშევიჩის სიტყვებით, თბილისმა უნდა შეიგნოს აქედან გამომდინარე შედეგები. მათ შორის — საფინანსო-ეკონომიკურიც.

ოფიციალურ თბილისს არაერთგზის განუცხადებია, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის დაგეგმილი შეთანხმება „არავითარ შემთხვევაში არ არის მიმართული რუსეთის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ“, და რომ საქართველო დაინტერესებულია „კარგი ურთიეთობებით უახლოეს მეზობლებთან“.

ევროკავშირის წარმომადგენლები ასევე აცხადებენ, რომ შეთანხმება საქართველოსთან გავლენას არ მოახდენს საქართველოს და რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობებზე, რომ ევროკავშირს აქვს ანალოგიური შეთანხმებები მთელ რიგ სხვა ქვეყნებთან და რომ ეს ვითარება არ არის დაბრკოლება მათი სავაჭრო ურთიერთობებისთვის სხვა ქვეყნებთან. უფრო მეტიც, საქართველოში ბაროზოს ვიზიტის დროს ივნისის დასაწყისში ევროკომისიის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ევროკავშირი მზადაა, განიხილოს რუსეთის ფედერაციასთან საკითხები, რომლებიც გაჩნდა საქართველოს და ევროკავშირს შორის შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით.

„კიდევ ერთხელ ვაცხადებ, ჩვენ სურვილის შესახებ ვაწარმოოთ მოლაპარაკება რუსეთთან — იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის მხრიდან გაჩნდება რაიმე საფრთხე, რომ განვიხილოთ ამ კონკრეტული შეთანხმების განხორციელების პროცესი. ბუნებრივია, ჩვენ პატივი უნდა ვცეთ იმ შეთანხმებებს, რომლებიც უკვე მიღებულია ამ ქვეყნების მთავრობების მიერ, მაგრამ თუ იქნება საფრთხე, რაიმე ტექნიკური საკითხები, რომელთა გამორკვევაც სურთ ჩვენ რუს პარტნიორებს, ჩვენ ამისთვის მზად ვართ“, — განაცხადა ბაროზომ 12 ივნისს თბილისში.

„არაკლასიკური შეთანხმება“

ადრე ევროკავშირმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც მითითებულია, რომ საქართველოსთან ასოციაციის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის შედეგად საქართველოს ეკონომიკა გახდება უფრო კონკურენტუნარიანი და რომ ეს ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციას მსოფლიო ბაზარზე.

„საქართველოსთან ასოციაციის შესახებ შეთანხმება არსებითად სცილდება ეკონომიკური ინტეგრაციის კლასიკური ფორმის ფარგლებს, გვთავაზობს არა მხოლოდ სავაჭრო და საინვესტიციო შესაძლებლობათა გაუმჯობესებას, არამედ დახმარებასაც იმ რეფორმების განხორციელებაში, რომლებიც დაკავშირებულია ვაჭრობასთან, იმასთან, რომ ხელი შეუწყოს საქართველოს ეკონომიკის განვითარებას და ქართული ეკონომიკის საუკეთესო ინტეგრაციას მსოფლიო ბაზარზე. მაგალითად, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გახდება უფრო მიმზიდველი ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისთვის ბაჟის მოხსნის წყალობით“, — აღნიშნულია დოკუმენტში.

„საქართველოს საწარმოებს ექნებათ შეღწევის საშუალება ევროკავშირის ბაზაზე გარდამავალი პერიოდის გარეშე. საქართველო მოიგებს ახალი სავაჭრო შესაძლებლობებით და ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის შემსუბუქებით. შეთანხმება საქართველოს ეკონომიკას მისცემს შესაძლებლობას, დაეწიოს ევროკავშირს კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით, და ამით თანდათანობით ნახოს თავისი ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში. ეს ახალ შესაძლებლობას გაუხსნის არა მხოლოდ საქართველოს ევროკავშირთან ვაჭრობის თვალსაზრისით, არამედ საქართველოს ვაჭრობის თვალსაზრისითაც დანარჩენ მსოფლიოსთან“, — ასე არის დახასიათებული საქართველოს წინაშე გადაშლილი პერსპექტივები.

ამავე დროს დოკუმენტში საუბარია, რომ აუცილებელია რეფორმების განხორციელება სასამართლო სისტემის გაუმჯობესების, კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის, დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცების, აგრეთვე სახელმწიფო მართვის, სამართლის, ეკონომიკური განვითარების, მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, გარემობუნების დაცვისა და განათლების სფეროში.

„იმ შემთხვევაში, თუ ეს რეფორმები იქნება რეალიზებული, — აღნიშნულია ევროკავშირის განცხადებაში, — მაშინ საქართველოს ყოველწლიური ეკონომიკური ზრდის პროგნოზირება ხდება 4,3 პროცენტის დონეზე.“

„ისე, როგორც მოსკოვი გადაწყვეტს“

კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტის დირექტორი გია ნოდია მიიჩნევს, რომ შეთანხმების ხელმოწერამ საქართველოსა და ევროკავშირს შორის შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამაზე რუთეთის ნება იქნება.

ნოდია სკეპტიკურად უყურებს ქართველი და რუსი ექსპერტების დაგეგმილ შეხვედრას, რომელმაც უნდა განიხილოს სავაჭრო-ეკონომიკური საკითხები საქართველოს მიერ ვროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის კონტექსტში. მისი სიტყვებით, ეს შეხვედრა იქნება აშკარად ფორმალური, ვინაიდან პრობლემები შეიძლება გაჩნდეს მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუ მოსკოვში მიიღებენ გადაწყვეტილებას, „დასაჯონ“ საქართველო ევროკავშირთან დაახლოებისთვის.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

„დონეცკის სახალხო რესპუბლიკის“ ხელმძღვანელი სთხოვს პუტინს, რუსი სამშვიდობოები დონბასსა და ლუგანშჩინაში შეიყვანოს

თვითგამოცხადებული „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის“ „სახალხო გუბერნატორი“ პაველ გუბარევი ამ თხოვნას ამართლებს იმით, რომ უკრაინამ დაარღვია შეთანხმება ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც გამოცხადებული იყო პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს სამშვიდობო გეგმის ფარგლებში, და აგრძელებს სეპარატისტებზე შეტევას დონბასში.

* * *

ნატოს გენერალურმა მდივანმა მოსკოვის მიერ საერთაშორისო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შესახებ განაცხადა

25 ივნისს ბრიუსელში შეიკრიბნენ ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელები. მათ გაწზრახული აქვთ, განიხილონ სათანადო ფონდი უკრაინის შეიარაღებული ძალების მხარდასაჭერად, გადაწყვიტონ, თუ რა გააკეთონ „მოსკოვის მხრიდან საფრთხესთან დაკავშირებით“. უკვე გასაგებია, რომ ნიშნებს რუსეთის მიერ ვალდებულებების შესრულებაზე უკრაინასთან დაკავშირებით ალიანსში ძველებურად ვერ ხედავენ.

* * *

ერაყის ჯარებმა სუნიტი ბოევიკები ქალაქებიდან სირიასთან და იორდანიასთან საზღვარზე განდევნეს

ექსტრემისტები განდევნეს ქალაქებიდან ელ-ვალიდი და ტურეიბილი. სამხედროები ასევე შეეცადნენ, გაეთავისუფლებინათ ქალაქი ბაიჯი, სადაც განთავსებულია ქვეყნის უდიდესი ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა. ავიადარტყმების შედეგად, რაც ერაყის არმიამ განახორციელა, დაიღუპა დაახლოებით 40 კაცი, მათ შორის მშვიდობიანი მცხოვრებლებიც.

* * *

უძლიერესი თავსხმა და სეტყვა თავს დაატყდა ტოკიოს, დაზიანდა ნაგებობები და ავტომობილები

სამშაბათს იაპონიის დედაქალაქსა და მის გარეუბნებში მოვიდა ათ სანტიმეტრზე მეტი სისქის სეტყვა. თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ სეტყვა დიამეტრით სამ სანტიმეტრამდე მოდიოდა დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში. ბევრ სახლში დაიტბორა სარდაფები, მცხოვრებლები ასევე იძულებული იყვნენ, გამოეყენებინათ ნიჩბები, რათა გაესუფთავებინათ გაყინული ჯებირები.

◎ სად არის სიმართლე?

ემზარ კვიციანს მტრები უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე მოყვრები!..

ემზარ კვიციანი პროკურორების აცილებას ითხოვს. საუბარია თენგიზ ხარებავასა და თენგიზ ჭითაშვილზე. როგორც კვიციანის ადვოკატი რეზო კახნიაური აცხადებს, სახელმწიფო ბრალმდებლები არიან ისეთი ოდიოზური პიროვნებები, რომლებიც იცავდნენ სახელმწიფო ბრალდებას ვაზაგაშვილისა და სხვა საქმეებზე. ეს პირები კი ყველაფერზე მოაწერენ ხელს. ამიტომ მათი მოთხოვნაა, თენგიზ ხარებავა და თენგიზ ჭითაშვილი საქმეს ჩამოაშორონ.

For.ge რეპაზ კახნიაშურს ესაუბრა.

— ცოტა ხნის წინათ ემზარ კვიციანი შიმშილობდა, რადგან ოჯახში დარეკვის საშუალებას არ აძლევდნენ. დღეს კი ემზარ კვიციანის პოზიციაა, რომ პროკურორები თენგიზ ხარებავა და თენგიზ ჭითაშვილი მის საქმეს ჩამოაცილონ. ფიქრობთ, რომ ეს ადამიანები აბრკოლებენ მისი საქმის ობიექტურ გამოძიებას?

— ემზარ კვიციანის შიმშილობის მიზეზი ის იყო, რომ ითხოვდა პროკურატურის წარმომადგენლებთან თენგიზ ხარებავასა და ჭითაშვილთან შეხვედრას. თუმცა, მას ისინი არ შეხვდნენ. დღესდღეობით საქმე სასამართლოში გადასაცემად მზადდება, ძიება მთავრდება, დარჩენილია მხოლოდ ორი მუხლი, დანარჩენები მოეხსნა დანაშაულის არარსებობის გამო. ვთვლით, რომ დარჩენილი ორი მუხლიც მოგონილი და შეთითხნილია მხოლოდ და მხოლოდ ემზარ კვიციანის დისკრედიტაციის მიზნით, რათა საზოგადოება დაეჭვდეს, რაკი ამ ადამიანს ამდენს ედავებიან და ამდენი მუხლით არის პასუხისგებაში მიცემული, ე.ი. მართლაც რაღაც აქვს დაშავებული. რეალურად, ეს არ დასტურდება და ის ორი მუხლიც, რომელიც შეეხება ამბოხს სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ და უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნას, არარეალურია. სინამდვილეში, „უკანონო შეიარაღებული ფორმირება“ შეიქმნა 1991 წელს და მან თავისი როლი შეასრულა. კერძოდ, 15 წლის განმავლობაში ეს ფორმირება იცავდა კოდორის ხეობას და ის საქართველოს იურისდიქციაში შედიოდა. როდესაც კოდორში 2006 წელს შეჰყავდათ ჯარები, ემზარ კვიციანი წინ დაუდგა და უთხრა, არ შეიძლება შემოსვლა, ამას მოჰყვება ოთხმხრივი ხელშეკრულების დარღვევა, რითაც რუსებსა და აფხაზებს შემოტევის საშუალება მიეცემათო. ამიტომ, ჯერ გაუქმდეს 1994 წლის 13 მაისის გაეროს, რუსეთს, საქართველოსა და აფხაზეთს შორის დადებული ოთხმხრივი ხელშეკრულება, ან შემოიყვანეთ მხოლოდ პოლიციის დანაყოფები. ეს არ შესრულდა. ემზარ კვიციანმა არ დაღვარა სისხლი, გაერიდა ძმათამკვლელ ომს. ამას მოჰყვა კოდორის ხეობაში საქართველოს ჯარში შესვლა. სწორედ ეს ჩაუთვალეს მას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად და ამბოხად, ჩაყარეს ასობით მილიონი ბიუჯეტიდან და მაინც ტყვიის გაუსროლად გამოიქცნენ იქიდან, მიატოვეს კოდორის ხეობა, ანუ ტერიტორიის ერთი მესამედი, რასაც მანამდე ემზარ კვიციანის მეშვეობით საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებდა. დღეს ეს ხეობა მთლიანად ოკუპირებულია.

— მტკიცებულებების არარსებობის გამო ემზარ კვიციანს 7 მუხლით გათვალისწინებული ბრალდება მოუხსნეს. ამის გამო ხომ არ არის პერსპექტივა, რომ საერთოდ გამართლდეს იგი დანარჩენი ორი მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებებშიც? მით უმეტეს, 315-ე და 223-ე მუხლები 12-დან 20 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

— ახლაც იგივე მდგომარეობაა, არაფერს ნიშნავს, რომ მას მსუბუქი მუხლები მოეხსნა, რომელიც იყო თითიდან გამოწოვილი, თეთრი ძაფით შეკერილი. არ ჰქონდა ის ქმედებები ჩადენილი, მას ედავებოდნენ რაღაც 1301 ლარს, რომ თავის თანამშრომელს მისცა თანხმობა, 1300 ლარი დაეზოგა და საშემოსავლო არ გადაეხადა. მას წაუყენეს ეს ორ მუხლად, როგორც თაღლითობაში დახმარება, რაც თავიდანვე აბსურდი იყო. მის საქმეს 15 გამომძიებელი და 8 პროკურორი იძიებდა 2006 წლიდან და სასამართლო განხილვები არ ყოფილა. ახლა ემზარ კვიციანი 4 თვეა დაკავებულია და არ შეუძლია, 10 წლის შვილთან დარეკვა, არ აქვს პრესის, ტელევიზიის ნახვის საშუალება. ყველანაირად შეზღუდულია. არადა, პროცესში წერია, ადამიანი შეიძლება წინასწარ პატიმრობაში იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელს შეუშლის ან დაემალება გამოძიებას. ამ დროს ემზარ კვიციანი თავად ჩამოვიდა, მას არ უნდოდა დამალვა. ამიტომ ეს ფაქტორი წინასწარ გამოძიებას ხელს ვერ შეუშლის, რადგან 2006 წელს დაიწყო ეს გამოძიება და ყველა ჩვენება უკვე მიღებულია. ჯანმრთელობის მხრივ იგი მძიმედ იყო, ხერხემალი აწუხებდა, ორი თვის განმავლობაში ვითხოვდით ნევროპათოლოგის შეყვანას და მასთან არ შევიდა ნევროპათოლოგი.

— კონკრეტულად სახელმწიფო ბრალმდებლების შესახებ რას იტყვით? მათი დაინტერესებით აიხსნება ემზარ კვიციანის ხანგრძლივად დარჩენა პატიმრობაში?

— მე ვთვლი, რომ ისინი არიან ნაცმოძრაობის თანამოაზრეები. არ ვიცი, რა კომპრომატი გააჩნია ნაცმოძრაობას მათზე, მაგრამ ყველა არაობიექტურობა მათგან მოდის. რას ნიშნავს, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ კვიციანი იჯდეს ციხეში?! მაშინ, როცა ამ კაცს უკეთებია ის საქმე, რაც ქვეყანას სჭირდებოდა. მათ თუ უბრძოლიათ და ქვეყნისთვის ერთი მტერი მაინც თუ მოუცილებიათ?! ამ კაცმა ბაგრამიანის 247 ჯარისკაცი, რომლებმაც სოხუმში გაიმარჯვეს და შემდეგ შემოუტიეს კოდორის ხეობას, დააწვინა იქ და ქართველებზე გამარჯვება არ აზეიმა. ჩემთვის კვიციანი გმირია, ის ადამიანები კი, რომლებიც მას იჭერენ და ამ დროს ასობით მილიონს კარგავენ და ფლანგავენ, ნამდვილად არ არიან გმირები. ისინი მას აპატიმრებენ და ამით არც სამართლიანობა აღდგება. ეს უზნეობაა.

— ორი პროკურორის ვინაობა დაასახელეთ, მაგრამ, თქვენი აზრით, კონკრეტულად ამ საქმის უკან ვინ დგას? ისევ ყოფილი ხელისუფლება მართავს სიტუაციას, თუ ახალ ხელისუფლებაშიც გამოუჩნდნენ თანამოაზრეები, მიუხედავად პარლამენტარების ხელმოწერებისა, რომლებიც ემზარ კვიციანს თავდებში ჩაუდგნენ?

— ხელმოწერები შეგროვდა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან ემზარ კვიციანს მტრები უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე მოყვრები.

მანანა ნოზაძე

◎ პირველი მსოფლიო ომის დაწყების 100 წლისთავი

ზურაბ წერეთლის კიდევ ერთი საჩუქარი... ამჯერად — სერბეთს

რამდენიმე დღის წინათ სერბეთის ქალაქ **ბანია ლუკაში** გაიხსნა რუსეთის ბოლო იმპერატორის ნიკოლოზ მეორის ძეგლი, რომელიც ეძღვნება რუსეთ-სერბეთის მეგობრობასა და, კერძოდ, იმ ფაქტს, როდესაც ავსტრია-უნგრეთმა სერბეთს ომი გამოუცხადა, სერბეთის პრინცმა კი მფარველობა სთხოვა რუსეთს. როგორც ცნობილია, რუსეთი ომში ჩაება...

ნიკოლოზ მეორის ძეგლის ავტორია სახელგანთქმული ქართველი მხატვარი-მონუმენტალისტი **ზურაბ წერეთელი,** რომელმაც სერბეთს ძეგლი საჩუქრად გადასცა.

ვილენ მარდალეიშვილი.

სურათზე: ზურაბ წერეთელი ბანია ლუკაში ძეგლის გახსნისას.

◎ გამოიცა

ჭეშმარიტად საჭირო წიგნი

რიონისპირა ქალაქში მკითხველებმა ახალი საინტერესო წიგნი მიიღეს — **„ქუთაისის საპატიო მოქალაქეები“.** იგი გამოიცა მეცნიერ-სპეციალისტთა და ჟურნალისტთა თვითმმართველობისა და ქუთაისის საპატიო მოქალაქეთა საქალაქო საბჭოს ერთობლივი ძალისხმევითა და ქუთაისის მერიის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და განათლების საქალაქო სამსახურის ფინანსური მხარდაჭერით.

იდეის ავტორი და წიგნის შემდგენელია მეცნიერ-სპეციალისტთა და ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირ „ინტელექტის“ პრეზიდენტი **ბენია თხილავა,** რედაქტორი — ქუთაისის საპატიო მოქალაქეთა საბჭოს თავმჯდომარე მწერალი **თეიმურაზ ლანჩავა.**

◎ ალიანჩალიანი

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის წლისთავთან დაკავშირებით

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო თბილისის ცენტრალურ საავადმყოფოს ეწვია.

აღნიშნული კლინიკა ერთ-ერთია მათ შორის, რომლებიც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებს ემსახურება. დავით სერგეენკო კლინიკის სამედიცინო პერსონალს შეხვდა, პაციენტები მოინახულა და უშუალოდ მათგან მოისმინა შეფასებები საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მიმდინარეობის შესახებ.

მინისტრის თქმით, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ასეულობით ათას ადამიანს შესაძლებობა მიეცა, რომ თავისი ჯანმრთელობისთვის აუცილებელი სერვისები მიეღო. როგორც დავით სერგეენკომ აღნიშნა, მან დაათვალიერა თბილისის ცენტრალური საავადმყოფო, სადაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შემოღების შემდეგ მნიშვნელოვნად გაზრდილია პაციენტების რაოდენობა.

პროგრამის მნიშვნელობაზე ისაუბრა თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს დირექტორის მოადგილე ზაზა ავალიანმა. როგორც მან აღნიშნა, უკვე მეორე წელია, რაც თბილისის ცენტრალური საავადმყოფო ჯანდაცვის პროგრამაში მონაწილეობს. მისივე თქმით, ამ დროის მანძილზე 5 000-ზე მეტმა ბენეფიციარმა გადაუდებელი, ურგენტული და გეგმური სტაციონალური მომსახურება მიიღო. მისივე შეფასებით, პროგრამა საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს და მოსახლეობა ძალიან კმაყოფილია, რომელთაც გაუჩნდათ შესაძლებობა, სამედიცინო დაწესებულებას მიმართოს და კვალიფიციური სამედიცინო დახმარება მიიღოს.

დავით სერგეენკო საქართველოს დიდ კლინიკებს ეწვევა, სადაც პროგრამის მიმდინარეობის შესახებ შეფასებებს სამედიცინო პერსონალისა და პაციენტებისგან მოისმენს.

ინტერპრესი

◎ მუნდიალი – 2014

ესეც დიეგოა

საოცარი სეზონი აქვს ურუგვაელთა დაცვის ბურჯს დიეგო გოდინს: ჯერ იყო და მისმა ზუსტმა თაურმა დარტყმამ მადრიდის „ატლეტიკოს“ პრიმერადივიზიონის „ოქრო“ მოუტანა, შემდეგ ეს კლუბი ჩემპიონთა ლიგის ფინალში დააწინაურა და, აი, ბრაზილიური მუნდიალის პლეი-ოფს მიღმა თვით „სკუადრა აძურა“ დატოვა – 1:0.

რასაკვირველია, ბევრი მომხდარში ამ შეხვედრის მსაჯს დაადანაშაულებს, რომელმაც მე-60 წუთზე ერთობ საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო და მინდვრიდან მარკოზიო გააძევა, მაგრამ მანამდეც ხომ რამდენჯერმე იხსნა პარტნიორები ბუფონმა?

ალბათ, ბევრი ნანობს, რომ ინგლისს ფეხბურთის სამშობლო ჰქვია, რადგან ამ გუნდმა ვერც ჯგუფური რაუნდის ფინიშზე გაახარა გულშემატკივრები და უმოტივაციო კოსტა-რიკასთან სამადლო ფრე გამოაცხო – 0:0.

სასიამოვნოდ გააკვირვა თანამემამულენი უკვე ყველასაგან ჩამოწერილმა საბერძნეთის ნაკრებმა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ კოტ დივუარელთა ძლევაში მათ გვარიანად შეუწყო ხელი მსაჯმა (ოხ, ეს მსაჯები). სწორედ მან უფეშქაშა ბოლო წუთზე პენალტი სამარასს და სანუკვარი დუბლი გააფორმებინა – 2:1.

გიორგი შოთაძე

◎ ციხე შიგნიდან გატყდა

კონფლიქტები ესპანეთის ნაკრებში

ავტორიტეტული მადრიდული გამოცემა Marca მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე ესპანეთის ნაკრების წარუმატებლობის მიზეზებს ეძებს. მადრიდელი ჟურნალისტების მტკიცებით, „ფურია როხას“ დამრიგებელ ვისენტე დელ ბოსკეს ნახევარმცველ სესკ ფაბრეგასთან და უკანასაზელ ჟერარ პიკესთან კონფლიქტები ჰქონდა. როგორც ირკვევა, დელ ბოსკემ ერთ-ერთი ვარჯიშიდან ფაბრეგასი გააძევა. სესკი ამან არ ააღელვა და ველოსიპედის სატარებლად გაეშურა. ესპანელი ჟურნალისტები ირწმუნებიან, რომ „ფურია როხა“ პლეი ოფში რომც გასულიყო, დელ ბოსკე ფაბრეგასს თამაშის შანსს აღარ მისცემდა.რაც შეეხება პიკეს, კატალონიის „ბარსელონას“ მცველი ვარჯიშებზე ძალზე ინერტული იყო და არ მუშაობდა ესპანელი ამგვარ ქცევას კუნთის ტკივილით ამართლებდა. საბოლოოდ დელ ბოსკემ პიკე საერთო ჯგუფს მოაშორა და ისიც განცალკევებით ვარჯიშობდა.

კოგა კოგახიძე

◎ ფარიკაობა

„ოქროს“ დებიუტი

სანდრო ბაზაძემ ხმალში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა

სასპორტო კომპლექს „არენაში“ 23-წლამდელ მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო. მსგავსი შეჯიბრება პირველად ტარდება საქართველოში. საასპარეზოდ 26 ქვეყნის 200-მა სპორტსმენმა მოიყარა თავი. საკვალიფიკაციო ორთაბრძოლები დილიდან „არენა-2“-ში იმართება, ფინალურ პაექრობებს კი საღამოობით „არენა-1“ მასპინძლობს. ტურნირის პირველ დღეს პაექრობებში მოხმალავე ვაჟები და დაშნით მოფარიკავე ქალები ჩაებნენ. შეჯიბრებაში ოთხ-ოთხი ქართველი გამოდიოდა.

შესანიშნავად დაიწყო ტურნირი ოცწლამდელებში ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა სანდრო ბაზაძემ. ჯგუფში მან ზედიზედ ხუთი მეტოქე დაამარცხა – არტიომ კარაბინსკი (ბელარუსი, 5:1), იაკუბ ოკინსკი (პოლონეთი, 5:4), ტოდორ კუკუ (რუმინეთი, 5:2), ჰუსეინ დუდაშოვი (აზერბაიჯანი, 5:1) და ბრინმორ საუნდერსი (დიდი ბრიტანეთი, 5:3). მიხეილ მარდალეიშვილმა ერთით ნაკლები მეტოქე დაჯაბნა: ფრანჩესკო დარმიენტო (იტალია, 5:2), აბდულა ჰასანოვი (აზერბაიჯანი, 5:1), დამიან ზვონიარსკი (პოლონეთი, 5:1) და ალექსანდრ ტრუშაკოვი (რუსეთი, 5:4), რომელმაც შემდეგ ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ერთადერთი პაექრობა მარდალეიშვილმა ავსტრიელ მატიას ვილაუსთან დათმო – 4:5. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრმა საბა სულამანიძეს ორი გამარჯვება მოიპოვა (სძლია თურქ აჰმედ-იბრაჰიმ ანტსა – 5:4 და ბრიტანელ ჯონ სიმონსს – 5:1), მაგრამ სამი მარცხი იწვნია. თანაგუნდელებს მხარი ვერ აუბა ლუკა ობოლაძემ – ჯგუფში მან ერთადერთი ორთაბრძოლა მოიგო აზერბაიჯანელ აზარ ტაგიევთან (5:4), ოთხ შეხვედრა კი წააგო და მედლებისთვის პაექრობას გამოეთიშა.

პლეი ოფში მარდალეიშვილი და სულამანიძე, შესაბამისად, 20-წლამდელებში 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონ იტალიელ ლუკა კურატოლისა (14:15) და ბელარუს სიარჰეი შაჩანინთან (8:15) ვერას გახდნენ. საგულისხმოა, რომ ეს სლავი მოხმალავე 20-წლამდელთა წლევანდელ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე გუნდურში მე-4 ადგილებზე გავიდა. თანაგუნდელებისგან განსხვავებით, შესანიშნავად იასპარეზა სანდრო ბაზაძემ: ქვეჯგუფში დამარცხებულ ხუთ მეტოქეს პლეი ოფში კიდევ ოთხი მიუმატა – იოლად დაჯაბნა თურქი აჰმედ-იბრაჰიმ ანტი (15:7), იტალიელი ლეონარდო აფედე (15:13) და ნახევარფინალში ლუკა კურატოლის შეხვდა. დაძაბული პაექრობა ბოლო ჩხვლეტით ბაზაძემ მოიგო 15:14, მერე გადამწყვეტ პაექრობაში ბელარუს სიარჰეი შაჩანინის მძლეველ ალექსანდრ ტრუშაკოვს აჯობა (15:7) და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

დაშნით მოფარიკავე ქალთა შეჯიბრებაში ჩვენებურთაგან ნუცა იაგორაშვილმა, ქრისტინე მიქაძემ და მარია ზაკირჩენკომ ჯგუფში 2-2 შეხვედრა მოიგეს, მაგრამ 4-4 დათმეს (ანა ბიბიჩაძემ ერთ მეტოქეს სძლია, ხოლო ხუთს დანებდა), პლეი ოფში კი გავიდნენ, მაგრამ იქ პირველსავე წრეში დამარცხდნენ და კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ. სამაგიეროდ, იტალიელმა, რუსმა და პოლონელმა სპორტსმენებმა იყოჩაღეს: ნახევარფინალში 23-წლამდელთა შორის 2011 წლის ევროპის ჩემპიონმა ბრენდა ბრიასკომ (იტალია) იუნიორებში 2014 წლის ევროპის ჩემპიონი (გუნდურში) იაგოდა ზაგალა (პოლონეთი) დაამარცხა – 15:9, ხოლო 23-წლამდელთა ევროპის თასის ერთ-ერთი ეტაპის გამარჯვებულმა იულია ლიჩაგინამ გუნდურში იუნიორთა ევროპის 2014 წლის ჩემპიონ კამილა პიტკას (პოლონეთი) ერთი ჩხვლეტით აჯობა - 8:7. ფინალში ბრიასკომ ლიჩაგინა ძალების დაუძაბავად დაჯაბნა - 15:8.

ჩემპიონები და პრიზიორები ფარიკაობის ევროპის კონფედერაციის პრეზიდენტმა ფრანტიშეკ იანდამ, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავკაცმა ლერი ხაბელოვმა და საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის ხელმძღვანელმა არჩილ გოგელიამ დააჯილდოვეს.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: სანდრო ბაზაძე.
ვაჟა დანელიას ფოტო

◎ მშვილდოსნობა

ესებუას ბულგარული „ვერცხლი“

სოფიაში დამთავრდა მშვილდოსანთა ევროპის დიდი პრიზის გათამაშება, რომელშიც ქართველი ჩუბინებიც მონაწილეობდნენ. საკვალიფიკაციო ეტაპზე შესანიშნავად იასპარეზა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ქრისტინე ესებუამ, რომელმაც ყველა მეტოქე დაჯაბნა. მედლებისთვის გადამწყვეტი პაექრობებისას ნახევარფინალში ესებუამ იტალიელ სარა ვიოლის აჯობა, ფინალში კი მის თანამემამულე ლორედანა სპერასთან დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. „ბრინჯაოსთვის“ პაექრობაში ვიოლიმ რუს ანა ბარსუკოვას მოუგო. იულია ლობჟანიძემ და ხათუნა ნარიმანიძემ მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე ადგილები გაიყვეს, ხოლო ასმათ დიასამიძე 33-ე იყო.

ვაჟებში ჯაბა მოსეშვილი, მამუკა შუშაძე, ტარიელ ქადიძე და ლაშა ფხაკაძე ოცდაათეულს მიღმა აღმოჩნდნენ. მთავარი პრიზი ბელარუსმა პაველ დალიდოვიჩმა მოიპოვა, რომელმაც ფინალში თანამემამულე ალექსანდრ ლიანუშევს აჯობა.

გივი გაგუა

◎ კალათბურთი

მეტრეველი „ნაპოლიში“ ითამაშებს

საძართველოს საკალათბურთო ნაკრების ფორვარდი ნიკა მეტრეველი იტალიის LNP Gold-ის (რანგით მე-2 ლიგა) წევრ „ნაპოლი ბასკეტის“ წევრი გახდა. უფრო მართებულად რომ ვთქვათ, ქართველი კალათბურთელი ნეაპოლურ კლუბს დაუბრუნდა, რადგანაც მცირე ხნით მისი მაისური ადრეც მოურგია.

23 წლის მეტრეველმა (211 სმ. 105 კგ.) გასული სეზონი იტალიის რანგით მე-3 ლიგაში (LNP Silver) გაატარა, სადაც "როზეტო შარკსის" რიგებში 8 მატჩში საშუალოდ 7.4 ქულას და 3.4 მოხსნას აგროვებდა.

საერთოდაც, ნიკას იტალიაში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს. კარიერის განმავლობაში მას „პაფონი ომენას“, „ბანკო დი სარდინია სასარის“, „რიმინის“, „მონტეპასკის“ და „ფერენტინოს“ ღირსებაც დაუცავს. ისიც ვთქვათ, რომ ქართველს ორმაგი მოქალაქეობა გააჩნია ანუ იტალიური პასპორტიც აქვს.

გასულ სეზონში „ნაპოლი ბასკეტმა“ მე-2 ლიგაში 14 მოგებით და 16 მარცხით მე-10 ადგილი დაიკავა და პლეი-ოფს მიღმა დარჩა, ამდენად, ელიტაში გადასასვლელად მომავალ სეზონში იბრძოლებს.

შეგახსენებთ, რომ მეტრეველს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 2009 წლიდან მოყოლებული პერიოდულად იძახებენ. ნიკა გაფართოებულ შემადგენლობაში ამჯერადაც გახლავთ და პირველივე შეკრებიდან ნაკრებთან ერთად იმყოფება.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ეროვნულმა ნაკრებმა 2015 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მზადების პირველი ეტაპი 23 ივნისიდან დაიწყო. გუნდი 4 ივლისამდე თბილისში იქნება, 5-ში კი სლოვენიურ პოდჩეტრტეკს მიაშურებს, სადაც უკვე სრული შემადგენლობით შეიკრიბება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ირინა შეიკი ლეგენდარული ჰერაკლეს ცოლი გახდა

კრიშტიანუ რონალდუს სუპერპოპულარული შეყვარებული ირინა შეიკი უკანასკნელ პერიოდში მსახიობობით დაინტერესდა და ჰოლივუდის პროდიუსერებმა მისი ეს სურვილი და ინტერესი უმალ სრულყვეს. ირინამ ჰოლივუდურ ბლოკბასტერში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ეკრანებზე სულ მალე გამოვა.

პორტუგალიელი ფეხბურთელის სატრფომ ბერძნული მითების მიხედვით გადაღებულ ფილმში „ჰერაკლე“ მითიური გმირის, ზევსის შვილის ჰერაკლეს ცოლის მეგარას როლი უნდა შეასრულოს და როგორც ამერიკული მედია იუწყება, ერთ-ერთ სცენაში ეს ჩვენი ირინა სულ მთლად ტიტლიკანა ჩანს კამერის წინ.

ირინა შეიკის პარტნიორი აღნიშნულ ფილმში ცნობილი მსახიობი დუეინ ჯონსონი იქნება, რომელიც ჰერაკლეს როლს შეასრულებს და არაერთი დიდი გმირობით გააოცებს მაყურებელს. რაც შეეხება ირინა შეიკს, მისგან გმირობას არავინ ველით. მისი სხეულის სიკისკასის გამომზეურებაც საკმარისია...

როსტომ რაჭველიშვილი

გიგი უგულავას საკითხზე სასამართლო სხდომა გადაიდო

საძალაძე სასამართლოში გიგი უგულავას უფლებამოსილების აღდგენის საკითხზე გადაწვეტილების გამოცხადება გადაიდო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ უგულავას ადვოკატმა გიზო უგულავამ განუცხადა, მას მოსამართლე მაია შოშიაშვილის თანაშემწემ დაურეკა და აცნობა, რომ მოსამართლე უგულავას მხარის შუამდგომლობაზე სათათბირო ვადას ახანგრძლივებს და გადაწყვეტილებას დღეს, 14 საათზე გამოაცხადებს.

ადვოკატი გუშინდელი პროცესის გადადებას საქმის გაჭიანურების მცდელობად აფასებს.

გიგი უგულავასთვის მერის უფლებამოსილების აღდგენის საკითხზე გადაწყვეტილება მოსამართლე მაია შოშიაშვილს გუშინ, 17 საათზე უნდა გამოეცხადებინა.

მოსამართლე სათათბიროდ მას შემდეგ გავიდა, რაც დაცვის მხარის შუამდგომლობაზე, რომლითაც უგულავას უფლებამოსილება შეუჩერდა, პროკურორებმა საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს. კერძოდ, ბრალდების მხარე არ ეთანხმება დაცვის შუამდგომლობას და მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება საქალაქო სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის. ამასთან, პროკურორები მიიჩნევენ, რომ უფლებამოსილების შეჩერებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებული აქვს პირველი ინსტანციის მოსამართლეს და ამავე დონის მოსამართლე უფლებამოსილი არ არის, მისი კოლეგის გადაწყვეტილების შეცვლაზე იმსჯელოს.

უგულავას მხარემ მერის უფლებამოსილების აღდგენის საკითხი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივით დააყენა, რომლის მიხედვით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ის მუხლები, რომლის საფუძველზეც უგულავას 2013 წლის 22 დეკემბერს, “თბილისის განვითარების ფონდის“ საქმეზე მერის უფლებამოსილება შეუჩერდა.

ინტერპრესი

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად ღირსეულად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, თევდორე მღვდლის 13 (ფრიდონ თოდუას კლინიკის გვერდით). ტელ.: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◎ ალიანჩალიანი

დააკავეს „იბერია სითის“ დირექტორი

საძართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე სამშენებლო კომპანია შპს „იბერია სითის“ დირექტორი გიორგი გოგიბერიძე დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ გიორგი გოგიბერიძე მის კუთვნილებაში მყოფი სამშენებლო კომპანიის, შპს „იბერია სითის“ სახელით 2005-2008 წლებში მოქალაქეებთან ხელშეკრულებებს აფორმებდა, რის საფუძველზეც იგი ვალდებულებას იღებდა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების გადახდის შემდეგ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე ააშენებდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის „ა„ და „ბ„ კორპუსს, აშენების შემდეგ კი ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ბინებს (შესაბამისი ფართებით) საკუთრებაში გადაუფორმებდა კონტრაქტორ მოქალაქეებს.

ნაკისრი ვალდებულებისა და გაფორმებული ხელშეკრულებების მიუხედავად, საცხოვრებელი კორპუსების აშენების შემდეგ გიორგი გოგიბერიძემ აღნიშნული ბინები მოტყუებით, თითქოს და მის საკუთრებას წარმოადგენდა, იპოთეკით დატვირთა და შემდგომში სხვა, არაკონტრაქტორ მოქალაქეებზე გაასხვისა.

აღნიშნული გზით გიორგი გოგიბერიძემ დამატებით მიიღო უკანონო შემოსავალი და 2005-2008 წლებში გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულ განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხას 1 626 291 აშშ დოლარს თაღლითურად დაეუფლა, რამაც კონტრაქტორი მოქალაქეები მნიშვნელოვანად დააზარალა.

ამ ეტაპზე დადგენილია ათეულობით მოქალაქის კუთვნილი თანხის მოტყუებით დაუფლების ფაქტი. დანაშაული თავისუფლების 6-დან 9 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიება ასევე გრძელდება ზემოხსენებულ საცხოვრებელ კორპუსებსა და გ. გოგიბერიძის მიერ აშენებულ სხვა საცხოვრებელ კორპუსებში განთავსებული ბინების განკარგვის კანონიერების შემოწმების მიზნით.

ოზურგეთში მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო

ჩამომხრჩვალი **მამაკაცი გუშინ დილის ხუთ საათზე დასუფთავების სამსახურის თანამშრომელმა იპოვა.**

— დილის საათებში ვიწყებთ ქალაქის დასუფთავებას. თეატრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, სკვერში დავინახე ხეზე ჩამოკიდებული ადამიანი. მაშინვე ვაცნობე სამართალდამცავებს, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ოზურგეთის დასუფთავების სამსახურის თანამშრომელმა.

არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილი მამაკაცი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩონჩხათიდან არის. ჩონჩხათის რწმუნებულის ალექსანდრე სარიშვილის თქმით, გარდაცვლილის ოჯახი ლანჩხუთში სამი წელია უკვე აღარ ცხოვრობს, ისინი საცხოვრებლად ბათუმში გადავიდნენ.

◎ რა არ ხდება ქვეყანაზე

„ბეჭანას“ სინდრომი

ყველა დროს თავისი მოდური ფსიქიკური მოდელი აქვს — ესენია პრესტიჟული ემოციები, ცნობიერება, აზროვნების სქემები. არსებობს ფსიქიკურ აშლილობათა და პათოფსიქოლოგიურ სინდრომთა მოდაც კი! მე-19 საუკუნის რომანტიკოსები დეპრესიის მოდის მქადაგებლები იყვნენ — უგუნებობა ჭეშმარიტი რომანტიკოსისთვის შესაფერის მდგომარეობად იყო მიჩნეული.

სხვათა შორის, რომანტიკოსები სიგიჟესაც ეთაყვანებოდნენ: მე-20 საუკუნის დასაწყისი — ისტერიის ეპოქაა, 60-იან წლებში მოდაში გონების შეცვლილი მდგომარეობები და ჰალუცინაციები იყო.

დღესდღეობით საზოგადოებაში მანიაკალური მდგომარეობაა მოდაში, აშლილი გუნება-განწყობის ერთ-ერთი სახეობა. აბა, დააკვირდით, როგორია ჩვენი თანამედროვე წარმატებული კაცის სახე? იგი მუდამ კარგ ხასიათზეა, გულთან ახლოს ბევრს არაფერს იკარებს, ზედმეტი ფიქრებით გონებას არ იტვირთავს, თანაც მუდამ რაღაც საქმეშია, ცხოვრების ყველა წუთს რაღაც დასახული მიზნის მისაღწევად იყენებს, გამუდმებით ახალ კრეატიულ იდეებს აფრქვევს და, ამავე დროს, ირგვლივ ყველაფერს აკვირდება და კომენტარსაც უკეთებს.

ისე კი, **ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომი — გამუდმებით კარგი გუნება-განწყობა, ასოციაციური პროცესების აჩქარება და სამოძრაო აქტივობა, ასევე მოქმედებისადმი შეუჩერებელი სწრაფვა — მანიაკალური სინდრომის სამი ძირითადი მდგენელია.** ამ ტრიადის გარდა არის კიდევ სხვა სიმპტომებიც, რომლებიც ასევე ემთხვევა თანამედროვე ადამიანის „იდეალს“.

ცხადია, რომ მანიაკალური მდგომარეობის უკიდურესი, ანდა, სულაც, მწვავე ფორმები, არავის „ხიბლავს“, რადგან ესაა ძალიან მძიმე ფსიქოპათიური მდგომარეობები, რომლებიც სერიოზული ფსიქიკური და სომატური აშლილობების დროს წარმოიშვება ხოლმე. მაგრამ, საქმე ისაა, რომ **თანამედროვე საზოგადოებაში მანიაკალური მდგომარეობის მსუბუქი ფორმები, კერძოდ, ჰიპომანიაკალურობა, წარმატებული ადამიანის ბედნიერების ეტალონადაა მიჩნეული.** ბევრი ადამიანი ამ მდგომარეობას ნორმად მიიჩნევს და გამუდმებით მასში ყოფნას ცდილობს, ხოლო მისგან „ამოვარდნას“ უარყოფითად აღიქვამს და დაფიქრების საბაბი ხდება: რაშია საქმე? ამდენად, ფსიქოლოგები გვაფრთხილებენ, რომ **ამ მდგომარეობაში გამუდმებით ყოფნა სახიფათოა, რასაც რამდენიმე კონკრეტული მიზეზი აქვს.**

პირველი ისაა, რომ გამუდმებით აღგზნებულ და ჭარბი აქტივობის მდგომარეობაში ყოფნა ემოციურად გამრთლებული არ არის, — ეს ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის ძალიან მავნეა, ვინაიდან ორგანიზმისა და ფსიქიკის ძალები შეზღუდულია.

მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ **თუკი საკუთარ თავს მუდამ კარგ გუნებაზე ყოფნას მოსთხოვთ, მაშასადამე უარყოფითი ემოციების გამუდმებით დათრგუნვა და უარყოფა მოგიწევთ.** არადა, ნებისმიერი საქმიანობის დროს ჩვენ გარკვეულ პრობლემურ ვითარებებს ვაწყდებით, როცა განგაშის, სევდის, გაღიზიანებისა და ა. შ. განცდა სავსებით ბუნებრივია. ასევე მოგიწევთ ისეთი ბუნებრივი მდგომაროებების უარყოფა, როგორებიცაა დაღლილობა, მოთენთილობა, სხვა მსგავსი, რაც ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის ასევე დიდად საზიანოა.

ყველა ადამიანს თავისებური კონსტიტუცია, ტემპერამენტი, ხასიათი, მაშასადამე აქტივობისა და გუნება-განწყობის ინდივიდუალური შინაგანი ნორმა აქვს. ზოგს ფსიქიკური პროცესები უფრო შენელებული, უფრო მდგრადი, ზოგსაც პირიქით, უფრო აჩქარებული და არამდგრადი აქვს, რაც ყოველი ჩვენგანის ფსიქოლოგიურ მოცემულობას წარმოადგენს. ამდენად გამოდის, რომ თუკი ჩვენში აღნიშნულ მანიაკალურ მდგომარეობას ნორმად დავაწესებთ, ამან შესაძლოა შინაგან კონფლიქტამდე, ნევროზამდე მიგვიყვანოს. ესეც ის მესამე მიზეზია, რის გამო ნოდარ დუმბაძის ცნობილი გმირ ბეჟანასავით გამუდმებით „დაუღვრემავად“ ყოფნა ორგანიზმის ფსიქიკური მდგომარეობისთვის დიდი ზიანის მომტანია.

მამების და შვილების დასასმარებლად

კალიფორნიის **უნივერსიტეტისა და კომპანია „მაიკროსოფთის“ მეცნიერებმა ახალი მობილური დანართი „პატენტ გარდიანი“ შეიმუშავეს, რომელიც პრობლემური ბავშვების მშობლებს შვილებისთვის საკუთარი ემოციური განცდების, სტრესების აცილების ვარიანტებს სთავაზობს. ესაა მსგავსი ტიპის პირველი სისტემა, რომელიც სტრესების ნიშნებს ავლენს და მათი დაძლევის რჩევებს რეალურ დროში იძლევა.**

თავდაპირველად სისტემის ტესტირება მშობელთა მცირე ჯგუფში ჩაატარეს, რომელთა შვილებს ჰიპერაქტივობის სინდრომი აღენიშნებათ. აღნიშნული სისტემა მშობლებმა 7-დან 5,1 ქულით შეაფასეს, ხოლო ტესტებით შემუშავებული მიდგომების ეფექტიანობა დადგინდა. **მისი ძირითადი პრინციპი ერთი ადამიანის საჭიროებებს კი არ ეფუძნება, არამედ მთელი ოჯახისთვის გამოსადეგი სისტემის შემუშავებას ითვალისწინებს. „პატენტ გარდიანის“ შემქმნელთა განცხადებით, სისტემა მშობლებს იმის საშუალებას მისცემს, რომ სწორედ ისეთი მშობლები იყვნენ, როგორიც თავად სურთ.**

დანართი ინფორმაციის გამანაწილებელ სმარტფონთან, პლანშეტსა და სერვერთან შეწყვილებული სენსორულ სამაჯურთან ერთად მუშაობს. იგი მშობლის სტრესების ნიშნებს ავლენს, მერე კი კარნახობს, თუ როგორი თვისებები უნდა გამოავლინოს დედამ თუ მამამ, რომ ბავშვთან დაკავშირებული პრობლემები რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გადაჭრას. ძირითადი სტრატეგია პრობლემურ ბავშვებსა და მათ მშობლებში თვითკონტროლისა და საკუთარ მოქმედებათა გააზრებულობის დონის ამაღლებაში მდგომარეობს.

ასე ამბობდა აინშტაინი



1. დამთხვევათა მეშვეობით ღმერთი ანონიმურობას ინარჩუნებს.

2. ყველაზე საუკეთესო, რის განცდაც კი შეგვიძლია, ესაა საიდუმლოს შეგრძნება. იგი ყველა ჭეშმარიტი ხელოვნებისა და მეცნიერების წყაროა. ის, ვისაც მორიდებული აღფრთოვანებით შეპყრობილს, შეჩერება და დაფიქრება არ ძალუძს, მიცვალებულსა ჰგავს და თვალები მისი დახუჭულია.

3. იმისკენ კი ნუ მიილტვით, რომ წარმატებას მიაღწიოთ, არამედ იმისკენ, რომ სიცოცხლეს აზრი ჰქონდეს.

4. შეუძლებელია პრობლემის იმავე დონეზე გადაწყვეტა, რომელზეც იგი წარმოიშვა. საჭიროა შემდეგ დონეზე გადასვლით მასზე მაღლა დადგომა.

5. ადამიანთა სწავლების ერთადერთი გონივრული ხერხი მათთვის მაგალითის მიცემაა.

6. არსებობს მხოლოდ ორი უსასრულო რამ: სამყარო და სისულელე. თუმა კი, რაც შეეხება სამყაროს, ამაში ბოლომდე დარწმუნებული არა ვარ.

7. არ ვიცი, რა იარაღით იომებენ მესამე მსოფლიო ომში, მაგრამ მეოთხე მსოფლიო ომი ჯოხებითა და ქვებით იქნება.

8. ყველამ იცის, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ, აი, მოდის უმეცარი, რომლისთვისაც ეს უცნობია, და სწორედ ის აკეთებს აღმოჩენას.

9. არის ცხოვრების ორი წესი: თქვენ შეგიძლიათ, ისე იცხოვროთ, თითქოს სასწაულები არ არსებობს, და შეგიძლიათ, იცხოვროთ ისე, თითქოს ქვეყანაზე ყველაფერი სასწაულია.

10. ადამიანი ცხოვრებას მხოლოდ მაშინ იწყებს, როცა საკუთარ შესაძლებლობებზე მეტის გაკეთებას ახერხებს.

◎ დედაქალაქი

დაანაგვიანეთ და... ილრუტუნეთ!

დიდი ქალაქების დაბინძურება, რომ იტყვიან, პლანეტარული პრობლემაა და, ცხადია, გარკვეული განსხვავებებით, ყველგან ადგილობრივი თვითმმართველობის დღენიადაგ ზრუნვის საგანს წარმოადგენს.

ეს პრობლემა, მრავალი სხვის დარად, არც თბილისისთვისაა უცხო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში ამ თვალსაზრისით მდგომარეობა უწინდელთან შედარებით გაცილებით უკეთესია, მაგრამ, სამწუხაროდ, სასურველ სისუფთავეს მაინც ვერ მივაღწიეთ. მხედველობაში გვაქვს ის, რომ რამდენიმე წლის წინათ ქუჩაში დაყენებულ თუნუქის გორგოლაჭებიანი ნაგვის ბუნკერების ნაწილი უკვე ამორტიზებულია და შეცვლას საჭიროებს, ურნები კი, რაღაც გაურკვეველი მიზეზით, მარტო ცენტრალურ ქუჩებსა და მოედნებზე დგას, თითქოს სხვაგან ხალხი არ დადიოდეს და თუნდაც ნახმარი ქაღალდის, სიგარეტის ცარიელი კოლოფის ან ნამწვავის, გამოცლილი ბოთლისა და ა. შ. გადაგდებას არ საჭიროებდეს. ურნების უქონლობის გამო კი შინაურიც და სტუმარიც, უკეთეს შემთხვევაში, იძულებულია ნაგავი სადმე მორიდებულ ადგილზე დადოს, თითქოს იქ ის ნაგავი აღარ იქნება. ეს რაც შეეხება ქუჩებს, სადაც, ვფიქრობთ, ნაგვის ურნები ყველგან, სადაც კი ამას საჭიროება მოითხოვს, უნდა დაიდგას.

მაგრამ არის ამ პრობლემის კიდევ ერთი ასპექტი, რომელსაც ურნების მეშვეობითაც კი ვერანაირად ვერ მოევლება. ესაა საზოგადოებრივი ტრანსპორტის დანაგვიანება, რომელმაც, რატომღაც, ბოლო ხანებში საოცრად იმატა. დარწმუნებული ვართ, ყველა ჩვენგანს მრავალგზის უნახავს გამაგრილებელი სასმელების ცარიელი ბოთლებით, თხილისა თუ მზესუმზირის ნაჭუჭით, ნაყინის თუ შოკოლადის შესაფუთი ქაღალდებით, გამაგრილებელი სასმელების ცარიელი ბოთლებით და ვინ მოთვლის კიდევ რანაირი ნაგვით მოფენილი მეტროს ვაგონი თუ საქალაქო ავტობუსის სალონი. თანაც დაბინძურების „წყაროები“ სკოლის ასაკის მოზარდებისა და ჯერაც დაუღვინებელი ყმაწვილების გარდა, ხშირად უფროსი ასაკის მოქალაქეებიც არიან, რაც ნამდვილად სამარცხვინოა. წინამდებარე მასალას დართული ფოტო ჩვენმა კოლეგამ დედაქალაქის ერთ-ერთ ავტობუსში გადაიღო, რომლის გამწარებულმა, თუმცა კი, გონებამახვილმა მძღოლმა, სხვა რომ ვერაფერი შეძლო, ამ აშკარად „არაკომპლიმენტურ“ გამოსახულებას საკუთარი სარკასტული ტექსტიც დაურთო.

— მერედა რა? — იკითხავთ თქვენ და სავსებით მართალიც იქნებით. დარწმუნებული ვართ, ამ ტექსტის წამკითხავი და გაბრაზებული არც ავტობუსში თუ მეტროში, არც ქუჩაში ნაგვის აქეთ-იქით ყრას არ დაიწყებს, ვინც არ წაიკითხავს და... ძნელი სათქმელია, რამდენი „გამოუსწორებელი დამნაგვიანებელი“ წაიკითხავს ამ სტრიქონებს, საეჭვოა, რომ ბევრი. და თუ წაიკითხავს, საქმე ისაა, რამდენად გაიაზრებს, რომ ქუჩაში თუ საქალაქო ტრანსპორტში, მოქცევა ისევეა საჭირო, როგორც საკუთარ სახლში, სასწავლებელში, სამსახურში თუ სტუმრად ყოფნისას. ამიტომ მეტროშიც, ავტობუსებშიც ყველა დასაჯდომ ადგილთან და შესასვლელ-გასასვლელში თითო ურნაც რომ დაიდგას, თუ დიდ-პატარას იმის შეგნება არ ექნება, რაც თავიდანვე უნდა ასწავლონ ოჯახშიც, საბავშვო ბაღშიც და სკოლაშიც, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ნაგვის დაყრა არ შეიძლება, საქმეს არაფერი ეშველება. დანარჩენ „დაბეჩავებულ“ მოქალაქეებს კი ისღა დაგვრჩენია, რომ „დამნაგვიანებლებს“ უსაქციელობაზე მივუთითოთ.

თუ, რა თქმა უნდა, ეს ჩვენი ჯანმრთელობისთვის საზიანო არ იქნება.

ოთარ ტურაბელიძე

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

ქართული ფლორის საოცრება

„სალხინო“ უებარი წამალია

„სალხინო“ აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ქრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

„სალხინო“ სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ **„სალხინოს“** მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

„სალხინოში“ შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

◎ ჩვენი კარაბადინი

გაახალგაზრდავების კიდევ ერთი ხერხი

ახალგაზრდა თაგვების სისხლის გადასხმა ბებრებში აჩერებს ამ უკანასკნელთა დაბერებას და უფრო ძლიერებსა და გონიერებს ხდის მათ თანატოლებთან შედარებით, ამბობენ ამერიკელი მეცნიერები ჰარვარდისა და სტენფორდის უნივერსიტეტებიდან.

თაგვების ბიოლოგიურ ასაკს მეცნიერები თვალყურს ადევნებდნენ „ახალგაზრდობის ცილის“ GDF11-ის მიხედვით. იგი უხვადაა ძუძუმწოვართა და ადამიანის სისხლში, სანამ ისინი ახალგაზრდები არიან, მაგრამ დაბერების დროს მისი დონე ეცემა. ეს ცილა დაკავშირებულია კუნთების და ნერვული ქსოვილების შენარჩუნებასთან, რომ იყვნენ ძლიერი და ჯანმრთელი. მისი დაქვეითებული შემცველობა ხშირად შეინიშნება სისხლის ბებრებისთვის გადასხმის დროს. ახალგაზრდა თაგვების სისხლის ბებრებისთვის გადასხმის დროს „ახალგაზრდობის ცილის“ შემცველობა ბებერ თაგვებში იზრდებოდა, და ეს სტიმულს აძლევდა მათს ორგანიზმს თავად გაახალგაზრდავებისთვის.

სისხლის გადასხმა — უკიდურესი ნაბიჯია თერაპიაში, ამას არ გააკეთებენ უბრალოდ პროფილაქტიკისთვის. თუმცა, დღეს შეიძლება გავყინოთ ჭიპლარის სისხლის ტანის უჯრედები, სამომავლოდ კი ასეთი უჯრედებისგან სისხლი შეიძლება შევქმნათ და გადავუსხათ საკუთარ თავს, თუმცა, „გაახალგაზრდავებული“.

სპორტულ მედიცინაში ასეთ ტექნოლოგიას იყენებენ დიდ ხანია: სპორტსმენისთვის მნიშვნელოვანი შეჯიბრების წინ საკუთარი სისხლის ინექცია — დოპინგის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც კუნთების მუშაობას სტიმულს აძლევს.

კვირის ციფრები

75 პროცენტით ზრდის მელანომის განვითარების რისკს ახალგაზრდა ასაკში სოლარიუმში რეგულარული სიარული.

როდესაც ვსუქდებით

ყველაზე საშიში ასაკი ზედმეტი კილოგრამების დაგროვების თვალსაზრისით ქალებს უდგებათ 35-40 წლისანებს, მამაკაცებს — 40-45 წლისანებს, ამბობენ ბრიტანელი დიეტოლოგები. მათ გამოარკვიეს ასევე ამ მოვლენის მიზეზები. აღმოჩნდა, რომ ქალების 34 პროცენტი წონაში იმატებენ ბავშვების შობის შემდეგ, 32 პროცენტი — გათხოვების შემდეგ, ვინაიდან იწყებენ ჭამას ქმრებთან ერთად საღამოობით.

მამაკაცებისთვის კი წონის მომატების მთავარი მიზეზებია განქორწინებანი და სტრესები სამუშაოზე.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— შენ რა, გაგიჟდი? — მეგარდერობეს მომსახურებისთვის ასი მანეთი როგორ აჩუქე! — ჩქმეტს და გამწარებული ეკაპასება ცოლი ქმარს.

— ჩუმად, შე სულელო! ნახე, შეცდომით როგორი ქურქი მომცა!

* * *

სასწავლებელში გამოცდა მიმდინარეობს.

— კითხვა, რომელიც ხუთიანზე შეფასდება. რა მქვია მე? — კითხულობს მასწავლებელი. აუდიტორიაში დუმილია.

— ოთხიანის ფარდი კითხვა: რა რანგში ბარდება გამოცდა? კვლავ დუმილი.

— ვინც ამ კითხვას უპასუხებს, სამიანს მიიღებს: რა ფერისაა ჩვენი სახელმძღვანელო?

— ნაღდად ჩაჭრას გვიპირებს ეს შობელძაღლი! — ისმის უკანა რიგებიდან.

— ოი, თქვენ ვინა ხართ?

— მე შენი ტვინი ვარ. გავიგე, რომ შეყვარებული ხარ და გამოსამშვიდობებლად მოვედი...

* * *

ყველას სჭირს უცნაურობები. თუ უცნაურობები არა გაქვს, უცნაური ხარ.

* * *

სასწრაფოში ზარი ირეკება, — ჩემმა ბავშვმა ავტოკალამი გადაყლაპაო.

— გამოვდივართ! — უპასუხებს მორიგე.

— ჩვენ რა ვქნათ?

— მანამდე ფანქრით წერეთ.

* * *

— გამარჯობა, ბორის!

— მე ბორისი კი არა, ნატალია მქვია.

— ჩემი ქმრის ტელეფონში კი შენ ბორისი გქვია.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ბაშაკიძე 514 33-33-24